# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 16 თებერვალი 1998 №22 (557) ფასი 40 თეთრი


## გუშინ დღეობა, დღეს კი ბედობა

გუშინ რვა წელი შესრულდა, რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლად არსებობს. დღეს ქართული ფეხბურთის სახის, ჩვენი ნაკრების მომავალი უნდა გაირკვეს.

შაბათს ეროვნული გუნდის მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე, ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე და საერთაშორისო განყოფილების უფროსი დავით პეტრიაშვილი ნორვეგიის დედაქალაქს გაემგზავრნენ. მიზეზი ყველას კარგად მოეხსენება — ჩვენები ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დასხდებიან და კალენდარზე მოილაპარაკებენ. როდის, ვისთან, სად ითამაშებს საქართველოს ნაკრები, დღეს გაირკვევა. მერე თანაჯგუფელები კალენდარს უეფას წარუდგენენ დასამტკიცებლად და დაიწყება ის გრძელი გზა, რომელმაც ბენილუქსის ქვეყნებამდე უნდა მიგვიყვანოს.



მალტაზე გამარჯვებით ნაკრებმა ასე იხარა, გავიხარებთ შესარჩევის მოგებით?

კალენდრის უეფასეული ვარიანტი ერთი თვის წინაც გაახლეთ. დაკვირვებული თვალი იოლად შენიშნავდა, რომ ამ ორგანიზაციას სამდღიან ციკლზე აუღია გეზი. რა გამოდის? 10 ან 11 სექტემბერს საქართველო სლოვენიას რომ ესტუმრება, 13 ან 14 სექტემბერს ლატვიას უნდა უმასპინძლოს. ეს თავისთავად ძლიერ საძნელო საქმე იქნებ არც იყოს. მაგრამ მსგავს სამდღიურში ჩვენები საბერძნეთს რომ უნდა ეახლონ და ნორვეგიას დაუხვდნენ, ვერაფერი მოსაწონია. თავისთავად იოლი არც ზედიზედ ორი გასვლა იქნება ლატვიასა და ნორვეგიაში. ეს შესაძლოა ტურისტული მარშრუტისთვის შესანიშნავი განრიგი გახლდეთ, მაგრამ ჩვენები მხოლოდ უცხო ქვეყანათა მოსანახულებლად მოგზაურობას რომ არ აპირებენ, ცხადია. არც საბერძნეთ — სლოვენიის მასპინძლობაა სამ დღეში იოლი, მაგრამ ისიც ფაქტია, უეფა კალენდარს თავს არ გვახვევს, მხოლოდ განრიგს გვაძალებს.

უეფას მიერ დაკანონებულ განრიგს ერთი დადებით თვისებაცა აქვს. ორ შეხვედრაში თამაში ჩვენს ფეხბურთელებს ნაკრებში ერთ გამოძახებად ჩაეთვლებათ. გამოდის, წელს შემოდგომაზე ნაკრები სამ მატჩს ორი გამოძახებით აუვა. ვლადიმერ გუცაევმა ერთხელ უკვე მალტის ტურნირზე ისარგებლა შვიდიდან ერთის უფლებით. ერთხელაც ირანის ტურნირი დაგვაჭირვებს ლეგიონერთა მოწვევას. ასე რომ, ამათ გარდა ნაკრების მწვრთნელს უცხოურ კლუბებში მოთამაშეთა კიდევ სამჯერ გამოძახების უფლება დარჩება.

რაც შეეხება კალენდარს, მას, უეჭველია, დღეს ყველა სათავისოდ განიხილავს, საბოლოოდ კი ერთი ვარიანტი უნდა შეთანხმდეს, რომელსაც უეფა დაამტკიცებს.

ვნახოთ, რას მოინადირებს დღეს ოსლოში ჩვენი ელჩობა, ამ ნანადირევზე ხომ ჩვენი ნაკრების, სულაც ფეხბურთის მომავალი იქნება დამოკიდებული.

### EURO 2000
### მეორე ჯგუფი

კალენდრის უეფასეული ვერსია

**1998**

| | |
|---|---|
| 5/6.09. | ნორვეგია — ლატვია |
| | საბერძნეთი — სლოვენია |
| | *საქართველო* — ალბანეთი |
| 10/11.10. | ლატვია — საბერძნეთი |
| | სლოვენია — საქართველო |
| | ალბანეთი — ნორვეგია |
| 13/14.10. | *საქართველო* — ლატვია |
| | ნორვეგია — საბერძნეთი |
| | სლოვენია — ალბანეთი |

**1999**

| | |
|---|---|
| 27/28.03. | საბერძნეთი — *საქართველო* |
| | სლოვენია — ლატვია |
| | ალბანეთი — საბერძნეთი |
| 30/31.03. | *საქართველო* — ნორვეგია |
| | სლოვენია — ლატვია |
| | ალბანეთი — საბერძნეთი |
| 5/6.06. | ლატვია — *საქართველო* |
| | საბერძნეთი — ნორვეგია |
| | ალბანეთი — სლოვენია |
| 8/9.06. | ნორვეგია — *საქართველო* |
| | ლატვია — სლოვენია |
| | საბერძნეთი — ალბანეთი |
| 4/5.09. | *საქართველო* — საბერძნეთი |
| | ალბანეთი — ლატვია |
| | სლოვენია — ნორვეგია |
| 7/8.09. | საბერძნეთი — ლატვია |
| | *საქართველო* — სლოვენია |
| | ნორვეგია — ალბანეთი |
| 9/10.10. | ლატვია — ნორვეგია |
| | სლოვენია — საბერძნეთი |
| | ალბანეთი — *საქართველო* |


ელგუჯა ბერიშვილი

ნაგანოდან






იაპონელთა ახალი კერპი კაცუიოში ფუნაკი ფინელ იანი სოინინენსა და თვისტომ მასაჰიკო ჰარადას შორის ჩამდგარა

## ფუნაკი იაპონიის იმპერატორს გადაასწრა

დიდი აურზაურია ნაგანოში — ასოცმეტრიანი ტრამპლინი კაცუიოში ფუნაკიმ მოიგო. ფუძიამას ისევ სძინავს, მაგრამ ვულკანმა აქ, ოლიმპიადის დედაქალაქში ამოხეთქა. იმპერატორს პოპულარობაში რომ გაეჯიბრო, ან სუმოში უნდა იყო პირველი, ან... თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. ფუნაკი პირველია და მთელი იაპონია მზად არის, მის წინაშე ქედი მოიხაროს.

THE PEOPLE

დღეს თვით იმპერატორიც ფუნაკობას ინატრებდა.

ყველას მისი სახელი აკერია პირზე. დილის თერთმეტი საათიდან, მას შემდეგ, რაც ჰაკუბას სტადიონზე ბოლო ნახტომი შესრულდა, ისედაც აბობოქრებული ნაგანო სულ გადაირია და თავდაყირა დადგა. სტადიონიდან მობრუნებული გულშემატკივრები ქალაქის ცენტრში შეკრებილ ხალხს შეუერთდნენ და ტაშ-ფანდური გვიანობამდე გაგრძელდა. ნაგანოს მთავარ ქუჩას ხალხი და სანახაობა ისედაც არ აკლდა, მაგრამ 15 თებერვალი სულ სხვა იყო.

არადა, დილიდან ისე ბარდნიდა, შეჯიბრების დაწყება საეჭვო ჩანდა. ვინ იცის, იქნებ, მსაჯ-ორგანიზატორები გამოდარებამდე თუნდაც რამდენიმე საათის მოცდას აპირებდნენ, მაგრამ სამოცი ათასამდე მაყურებელს ამას ვინ შებედავდა. ეს ხალხი აქ თვისტომთა მოსალოდნელმა ტრიუმფმა შეყარა და სანახაობის დროულად დაწყება ითხოვა. სანახაობა მართლაც დაუვიწყარი გამოდგა და არა მარტო იაპონელთათვის: ეს იყო თვალწარმტაცი სპექტაკლი, სადაც მთავარი როლები მასპინძლებმა გაინაწილეს. ოთხიდან სამი ფინალში მოხვდა, თანაც — პირველ ექვსეულში.

ლილეჰამერისგან განსხვავებით, პირველი ცდის შემდეგ მხოლოდ 30 საუკეთესო აგრძელებს ბრძოლას, დანარჩენები ერთი ნახტომის ქულებით ინაწილებენ ადგილებს. სამწუხაროდ, ამ „დანარჩენთა“ შორის აღმოჩნდა კახა წაქაძე, რომელსაც საბოლოოდ 59-ე ადგილი ერგო (89,9 მ). კახა, ცხადია, უკმაყოფილოა თავისი გამოსვლით, მაგრამ ობიექტურად აფასებს სიტუაციას: „სერიოზული შედეგისთვის მზად არ ვიყავი და ამას ათასი



ნაგანოში ჰოკეის გრანდთა ბრძოლაც გაჩაღდა. რუსეთი — ფინეთი. სერგეი ფიოდოროვმა სავო კოივუ წააქცია

მიზეზი აქვს. თუ ეს მიზეზები აღმოიფხვრება, მე დავამტკიცებ, რომ ხტომა შემიძლია. ეს არ იყო ჩემი ოლიმპიადა“.



15 კილომეტრზე კლასიკური ყაიდით თხილამურობაში ყველაზე სწრაფი ტომას ალსგარდი იყო

ეს იაპონელთა ოლიმპიადა იყო — სამი მედალი ორ ტრამპლინზე. 90-იანის ვერცხლს 120-იანის ოქრო და ბრინჯაო მიემატა. ფუნაკის ორივე ნახტომი გამოუვიდა (126,0 და 132,5) და ამან ჯამში საჩემპიონო ქულები მოუტანა. არადა, საჩემპიონო ნახტომი მისმა თანაგუნდელმა მასაჰიკო ჰარადამ შეასრულა (136,0 მეტრი მეორე საბოლოო ცდაზე), მაგრამ რაკი პირველი ცდა ასეთივე ვერ გამოდგა (120,0) კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე აღმოჩნდა. კვლავ იყოჩაღა ფინელმა იანი სოინინენმა, 90-იანის ოქროს მედალს ვერცხლიც „წაუმატა“. დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ სოინინენიც და დანარჩენებიც მიივიწყეს: ტელეეკრანი მთლიანად ფუნაკიმ და ჰარადამ დაიპყრეს და ვინ იცის, უკვე მერამდენედ ატრიალებენ ათასჯერ ნაჩვენებ კადრებს.

იაპონია ზეიმობს და ამას ხელს ვერ უშლის ამინდის ჭირვეულობა. ოლიმპიადის პირველი დღეებიდან ასე აეწყო: მზეს წვიმა ენაცვლება, წვიმას — თოვლი. დღეს მზის „ჯერია“ და რაკი ასეა, იმედია, დღეს მაინც შედგება უკვე მერამდენედ გადადებული ვაჟთა სუპერგიგანტი: აქ ტომბას და სხვა გიგანტებს ზურაბ ჯიჯიშვილიც გაეჯიბრება.

# ვიცეჩემპიონი ჰოსპიტალში გაქანდა

**ფიგურული სრიალი**

რუსმა ილია კულიკმა ბრწყინვალე წარმოდგენა გაითამაშა ნაგანოს ყინულზე და კაცთა ფიგურული სრიალის ოლიმპიური ოქრო



ილია კულიკი

მოიგო. მოსკოველმა უკან მოიტოვა კაცთა შეჯიბრის უპირველესი ფავორიტი, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი, კანადელი ელვის სტოიკო, რომელიც არა მხოლოდ საუცხოო მოსრიალეა, არამედ კარატეს შავი ქამრის მფლობელიც.

რუსის სრიალმა ყველას აღტაცება დაიმსახურა. მან შეასრულა ოთხგზის „თულუფი", ურთულესი საჰაერო ბზრიალი და შემდეგ რვაჯერ, უშეცდომოდ ჩაატარა სამმაგი ბრუნვა. კანადელმა კი ოთხგზისი საერთოდ ვერ მოახერხა, რაც ერთგვარად გასაკვირიც კი იყო. მაგრამ მერე გაირკვა, რომ სტოიკო ტრავმით ასპარეზობდა — საზარდულის ტკივილი ტანჯავდა. ვერცხლის მედალი ჩააბარეს თუ არა, მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ჰოსპიტალში გაქანდა.

მესამე ადგილი კი ფრანგმა ფილიპ კანდელორომ დაიკავა, რომელიც თავისი მეხუთედან მას შემდეგ ამოიმართა კვარცხლბეკზე, რაც ამერიკელმა ტოდ ელდრიჯმა და რუსმა ალექსეი იაგუდინმა ყინულზე მოადინეს ზღართანი.

კანადელთა ამბავი კი მართლაც საკვირველია. ასეთი დანავსული ისტორია ძნელად თუ მოიძებნება ყინულის თამაშობებში: ზედიზედ მეოთხე თეთრი ოლიმპიადაა, კანადელი ფიგურულად მოსრიალენი მსოფლიოს ჩემპიონთა რანგში გადიან ყინულზე და ოქროს ვერა და ვერ იგებენ.

ჯერ მარტო კალგარის ამბავი რად ღირს, როცა ბრაიან ორსერმა ამერიკელ ბრაიან ბოტანოს გადაულოცა ოქრო. არც კურტ ბროულინგს მოუგია რომელიმე ოლიმპიური მედალი. ბედკრულ სტოიკოს ეგებ კიდეც ეწადა ამ ავი ტრადიციის შეცვლა, მაგრამ დამალულმა ტრავმამ თავი იჩინა. სტოიკო გასულ თვეში თავისი ქვეყნის პირველობაზე დაშავებულა, ოლიმპიური შეჯიბრის დროს ვარჯიშის საათებში საზარდული წამოსტკივებია, მაგრამ დაუმალავს. ამიტომაც იყო, რომ თავისი ბოლო გამოსვლა შთამბეჭდავად დაიწყო, მაგრამ მალევე დაებორკა ფეხები და თავის ოთხგზის-სამგზისი „თულუფის" კომბინაციის შესრულება ველარ მოახერხა. სტოიკოს ტრავმა არცთუ უბრალო გამოდგა, თუმცა კანადელები იმედოვნებენ, რომ მარტში, მონპელიეში დანიშნული მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ელვისი მზად იქნება და ტიტულსაც წარმატებით დაიცავს.

**ქახა არჯევანიძე**

# 180-მილიონიან ყინვის ქვეყანას ერთი გასრიალება ყინული არა აქვს

## რუსებისთვის სამხედრო ბაზები სათხილამუროში ხომ არ გაგვეცვალა?!

რა იყო საბჭოეთი? ბოროტების იმპერიაო, იტყვით თქვენ. ჩვენ კი დავუმატებთ, ბოროტების იმპერია და ოლიმპიური სპორტის ლიდერიო. აბა, ვინ დათვლის საბჭოელთა მიერ მოგებულ მედლებს, ანდა ვინ გახდის სადაოდ იმას, რომ ეს იყო სპორტული ზესახელმწიფო?

რაც საბჭოეთი დაიშალა და ბელოვეჟის პუშჩამ წერტილი დასვა, ლაპარაკი ატყდა, როგორც სხვა რამეებში ჩამოვარდა იშკილებიდან საბჭოეთის სამართალმემკვიდრე რუსეთი, ასევე დაემართება მის სპორტსო. ამის გარკვეული ნიშნებიც გამოჩნდა, რუსებმა ხან იქ ხან აქ იწყეს წაგება და ვერცხლეულს დაჯერება. ამბობენ, არეულობა დასრულდა და რუსეთი ძველ, საბჭოურ სახელს იბრუნებსო. ამას, პირველ რიგში, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი ვიტალი სმირნოვი ამტკიცებს. ჰა, თუ ზამთარში, ჰა, თუ ზაფხულში ჩვენს ძალას დაგანახებთო.

„სანამ საბჭოეთი რუსეთად გარდაისახებოდა, პრობლემები გვქონდა. ახლა საქმე მოგვარდა. მე პირობას ვდებ, რომ ჩვენი მოვარჯიშენი სიდნეიში უკეთ იასპარეზებენ, ვიდრე ატლანტაში. სიდნეიში არ იქნება საშინელი ამერიკული შოვინიზმი და მსაჯებიც აღარ დაგვჩაგრავენ" — აცხადებს სმირნოვი.

თუმცა, რუსების ზამთრის გუნდში არცთუ დალხინებული ცხოვრებაა. რუსეთმა ყველაზე მეტი ექვსი ოქრო მოიგო. მაგრამ მედალთა საერთო რაოდენობით რუსები ჩამორჩებიან გერმანელებს და ნორვეგიელებს და ძნელი წარმოსადგენია, რომ ოლიმპიადის ბოლოსთვის მათი გადასწრება მოახერხონ.

რუსთა ზეობა აღინიშნა მხოლოდ ფიგურულ სრიალში და ქალთა სათხილამურო კროსში (გაიხსენეთ სმეტანინა!), მაშინ, როცა ბობსლეისტებმა, მოციგაეებმა და მოციგურავეებმა ვერ ივარგეს. „რაც საბჭოეთი დაიშალა, ჩვენ დავკარგეთ მთავარი სპორტული ბაზები: ციგაობისა ლატვიურ სიგულდაში, თხილამურობისა ქართულ ბაკურიანში და ციგურაობისა ყაზახურ მედეოზე" — განმარტავს სმირნოვი. რუსული მედია კი სმირნოვს აკრიტიკებს, მთავრობას არაფერს სთხოვს ზამთრის სახეობებისთვისო. „სპორტ-ექსპრესმა" პირდაპირ დაწერა, ჩვენ ისეთ დღეში ვართ, თითქოს კენიელები ვიყოთ და ქვეყანაში თოვლი არ გვქონდეს. აბა ფინეთში და გერმანიაში სავარჯიშოდ სიარული სირცხვილი არ არისო?

180-მილიონიან ყინვის ქვეყანას ერთი გასრიალება ყინული არა აქვს!

სმირნოვს დიდბობოლა იური ლუჟკოვის იმედი აქვს, ასეთი არენის აშენებას დაგვპირდა, სიტყვის კაცია და გვჯერა, შუა მოსკოვში გაგვიმართავს ყინულის ცენტრსო.



რუსი მოციგურავე სვეტლანა ბაჟანოვა ლილეჰამერში ჩემპიონი გახდა და ფრიადაც გაიხარა, წელს კი ვერა იხეირა რა

მაგრამ რუსეთი ძალზე ჩამორჩება სხვა ქვეყნებს სპორტული ტექნოლოგიების თვალსაზრისით. „პატიოსნად რომ ვთქვა, ჩვენი ზამთრის გუნდი ფრთამოტეხილ იხვსა ჰგავს" — აღიარებს სმირნოვი. „რაც უნდა ვეცადოთ, მოწინავე ქვეყნები მაინც გვისწრებენ."

თანაც, სმირნოვს მიაჩნია, რომ რუსთა წარმატებები ბევრს ეჩხირება ყელში: „ბევრია ისეთ ხალხი, რომლებსაც ჩვენი დოპინგსკანდალები უფრო უხარიათ, ვიდრე წარმატებები."

რუსებს მართლაც უჭირთ, მაგრამ ბევრს კი ცდილობენ, რომ მუნდირი არ გაეთხვაროთ.

დიდი სპორტსმენი რუსეთს არ დაელევა, მაგრამ არც გახვრეტილ ჯიბეს უკერავს ვინმე.

**ზურაბ ქალატოზიშვილი**

**ბობსლეი**

ორადგილიანი ბობებით ასპარეზობაში ერთბაშად ორი ოქროს კომპლექტი დარიგდა: იტალიელი გიუნტერ ჰუბერისა და კანადელი პიერ ლუდერსის ეკიპაჟებმა საერთო ჯამში ერთი და იგივე დრო — 3:37,24 წუთი უჩვენეს. ამგვარი რამ ოლიმპიადაზე 1968 წელსაც მოხდა, როდესაც იტალიელ ეუჯინიო მონტისა და გერმანელ ჰორსტ ფლოტს ერთნაირი შედეგი აღმოაჩნდათ, მაგრამ მაშინდელი წესების შესაბამისად ოქრო მხოლოდ უსწრაფესი ცდის პატრონ მონტის ერგო. მოტოქეები ერთიმეორეს პირისპირ შეხვედრიან და უხუმრიათ, რა კარგი იქნებოდა, თანაბარი დრო რომ გვეჩვენებინაო, თუმცა, ჰუბერის თქმით, ასეთ შედეგს არც ერთი ელოდა. მესამე ადგილზე გერმანელი კრისტოფ ლანგენი გავიდა, რომელიც გამარჯვებულებს 0,65 წამით ჩამორჩა. „განსაკუთრებით ის მახარებს, რომ ევროპელების ჰეგემონია დავარღვიეთ" — განაცხადა ლუდერსმა, რომელიც პირველი ჩრდილოამერიკელი ჩემპიონი გახდა ბობსლეიში 1936 წლის ზამთრის თამაშების შემდეგ. ისე, კანადელი არაევროპელობას ნაღდად ვერ დაიჩემებს, მისი ოკეანის გაღმა გადახვეწილი დედ-მამა აღმოსავლეთ გერმანიიდან ყოფილა და ბობსლეით გატაცებაც 1989 წელს გერმანიაში მოგზაურობის შედეგია, თორემ მანამდე ათჭიდით იყო დატავებული.

# ნუყილი ოქრო — ნუყილად



ოქროს ძმურად გამყოფი კანადელები და იტალიელები

ლუდერსი და ჰუბერი ერთმანეთს პირველად როდი უპირისპირდებოდნენ — მათ შარშანდელი მსოფლიოს თასის გათამაშებაც ერთნაირი ქულებით დაასრულეს, მაგრამ მაშინ პირველობა კანადელს დარჩა, რომელსაც მეტი ეტაპი ჰქონდა მოგებული. ნაგანოში მეტოქეზე უკეთესი შედეგი ჰუბერმა მხოლოდ პირველ ცდაზე უჩვენა, როცა ჩრდილოამერიკელს 5 მეასედი წამით გაასწრო, მერე კი ლუდერსის ჯერი დადგა, რომელმაც მომდევნო ორ ცდაზე იმ ხუთს თითო მეასედი ჩამოაკლო. ბოლო დაშვების წინ

ასევე გერმანული წარმოშობის გიუნტერ ჰუბერმა, რომელმაც იტალიას ზემოხსენებული მონტის შემდეგ ბობსლეიში პირველი ოქრო მოუტანა, 1994 წელს ლილეჰამერში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. იგი პროფესიით პოლიციელი გახლავთ და ბობსლეის გარდა სნოუბორდი და მოტოციკლით ქროლვა იტაცებს.

# ვიკ ვიკინგს ვინ აჯობებდა?!

**ორჭიდი**

ორჭიდი ზამთრის ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებულ სახეობათა შორის ერთ-ერთი უძველესია. მას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მისდევდნენ, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთში. ნორვეგიაში ორჭიდის პოპულარობაზე არას ვიტყვით, უბრალოდ იმას დავძენთ, რომ ამ სახეობაში ნორვეგიელებმა 10 ოქროს მედალი მოიგეს.

ბიარტე ენგენ ვიკის ოქრო სწორედ მეათეა. ისე, მისი უპირატესობა მდევრებთან იმდენად საგრძნობი იყო, რომ გამარჯვებულის დასახელება წინასწარაც შეიძლებოდა, მაგრამ ყველაფერს ოფიციალური იერი რომ მისცემოდა, შეჯიბრი უნდა მოეგო. ასეც მოხდა.

...პარასკევს ვიკმა ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა, თან საკმაოდ სოლიდურადაც, ამან კი იმის საშუალება მისცა, რომ მეორე დღეს 15-კილომეტრიანი რბოლა უახლოეს მდევარზე 36 წამით ადრე დაიწყო. ერთი პერიოდი ვიკი ლამის წუთითაც დაწინაურდა, მაგრამ ბუნებამ თოვლი არ დაიშურა და ვიკსაც ბოლო კილომეტრებზე რბოლა გაუჭირდა. საბოლოოდ, მეორეადგილოსან სამპა ლუინენს მხოლოდ 27,5 წამით აჯობა. ისე, ამ 18 წლის ფინელმა, რომელმაც შარშან მსოფლიოს თასიც მოიგო, 15-კილომეტრიანი რბოლა ვიკთან 63-წამიანი ჩამორჩენით დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ მის წინ მყოფ რამდენიმე სპორტსმენს გაუსწრო და ვერცხლიც მოიგო.

# კოსმოსს ნაგანო არჩია

**ბიათლონი**

ბიათლონის 7,5-კილომეტრიან დისტანციაზე ქალებს შორის უძლიერესი რუსი გალინა კუკლევა აღმოჩნდა, რომელმაც ოქროს მედალი 7 მეათედი წამის უპირატესობით გერმანელ ურსულა დისლის გამოსტაცა ხელიდან. კუკლევა უკვე 12 წელია, ბიათლონისტია და თანაც რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ირიცხება, მაგრამ, ამის მიუხედავად, ზუსტად რატომღაც იშვიათად ისვრის. ამ პრობლემის გამო გალინა შარშან მოსკოვის კოსმონავტებისთვის განკუთვნილ კლინიკასაც სწვევია, სადაც დაუიმედებიათ, ყველაფერი რიგზე გაქვს, ის კი არა, კოსმოსში გასამგზავრებლადაც გამოდგებიო. კუკლევამ ამას ნაგანოში წასვლა არჩია და არც შემცდარა: 10 სროლიდან მხოლოდ ერთი აუცდა და დისტანციას თითქმის თავიდან ბოლომდე ლიდერობდა. რუსის გასწრების შანსი დისლიმ ბოლო სასროლეთზე გაუშვა ხელიდან, როცა თავისი ერთადერთი შეცდომა დაუშვა. გერმანელს სახე კი დაემანჭა, მაგრამ ბოლო ორნახევარი კილომეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა და ჩამორჩენა კინალამ აინაზღაურა კიდეც. ბრინჯაოს მედალიც მის თვისტომს, კატრინ აპელს ერგო. წლევანდელი მსოფლიო თასის ლიდერი, შვედი მაგდალენა ფორსბერგი ერთი ხანობა ლიდერთა შორის იმყოფებოდა, მაგრამ მეორე ცდაზე ხუთიდან სამი ნასროლი ააცილა და საბოლოოდ მე-17 ადგილზე აღმოჩნდა. 1994 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ამ დისტანციაზე კანადელი მირიამ ბედარდი, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ტრავმებმა გატანჯა, სულაც 32-ე იყო.

**დათო ნაზღაიძე**



გალინა კუკლევა

## ქვარცხლბეკზე

### მედალოსნები და სხვებიც

#### ფიგურული სრიალი

კაცები

1. ილია კულიკი (რუსეთი) — 1,5 ქულა; 2. ელვის სტოიკო (კანადა) — 4,0; 3. ფილიპ კანდელორო (საფრანგეთი) — 4,5; 4. ტოდ ელდრიჯი (აშშ) — 5,5; 5. ალექსეი იაგუდინი (რუსეთი) — 7,0; 6. სტივენ კაზინსი (ბრიტანეთი) — 10,0; 7. მაიკლ ვეისი (აშშ) — 11,5; 8. გუო ჟენშენი (ჩინეთი) — 14,0; 9. მიქაელ ტულესენი (დანია) — 15,5; 10. ვიაჩესლავ ზაგოროდნიუკი (უკრაინა) — 16,0

#### ორჭიდი

1. ბიარტე ენგე ვიკი (ნორვეგია) — 41:21.1 (ხტომა 241.0 ქულა, რბოლა 41:21.1 წუთი), 2. სამპა ლუინენი (ფინეთი) — 41:48.6 (230.5, 40:45.6), 3. ვალერი სტოლიაროვი (რუსეთი) — 41:49.3 (235.0, 41:13.3), 4. კენჯი ოგივარა (იაპონია) — 42:42.2 (226.0, 41:12.2), 5. მილან კუჩერა (ჩეხეთი) — 42:45.8 (228.0, 41:27.8), 6. ცუგიჰარუ ოგივარა (იაპონია) — 42:46.4 (232.5, 41:55.4), 7. ნიკოლა ბალი (საფრანგეთი) — 42:46.8 (218.5, 40:31.8), 8. მარიო შტეჩერი (ავსტრია) — 43:09.9 (228.5, 41:54.9), 9. სილვიან გილემი (საფრანგეთი) — 43:42.5 (212.5, 40:51.5), 10. დმიტრი სინიცინი (რუსეთი) — 43:48.0 (213.5, 41:03.0)

#### ბობსლეი

ორკაცა

1. გიუნტერ ჰუბერი/ანტონიო ტარტალია (იტალია) — 3:37,24 (54,51/54,29/54,17/54,27); 2. პიერ ლუდერსი/დევიდ მაკეჩერნი (კანადა) — 3:37,24 (54,56/54,28/54,16/54,24); 3. კრისტოფ ლანგენი/მარკუს ციმერმანი (გერმანია) — 3:37,89 (54,82/54,62/54,11/54,34); 4. კრისტიან რაიში/სედრიკ გრანდი (შვეიცარია) — 3:38,15; 5. სანდის პრუსისი/იანი ელსინსი (ლატვია) — 3:38,24; 6. რეტო გეჩი/გვიდო აკლინი (შვეიცარია) — 3:38,27; 7. ჯეიმს ჰერბერიხი/რობერტ ოლესენი (აშშ) — 3:38,53; 8. პაველ პუშკარი/იან კობიანი (ჩეხეთი) — 3:38,59; 9. ბრუნო მენგონი/ემანუელ ოსტაში (საფრანგეთი) — 3:38,62; 10. ბრაიან შიმერი/გარეტ ჰაინსი (აშშ) — 3:38,75

#### ბიათლონი

ქალები. 7,5 კმ

1. გალინა კუკლევა (რუსეთი) 23:08,0; 2. ურსულა დისლი (გერმანია) 23:08,7; 3. კატრინ აპელი (გერმანია) 23:32,4; 4. სონია მიხოკოვა (სლოვაკეთი) 23: 42,3; 5. შუმეი იუ (ჩინეთი) 23:44,0; 6. ანა სტერა (პოლონეთი) 23:53,1; 7. მარტინა შვარცბაკეროვა (სლოვაკეთი) 23:54,5; 8. მარი ლამპინენი (ფინეთი) 23:55,2; 9. ანა მურინოვა (სლოვაკეთი) 23:56,7; 10. ნატალი სანტერი (იტალია) 23:59,6.

#### ტრამპლინი

120 მეტრი

1. კაცუიოში ფუნაკი (იაპონია) 272,3; 2. იანი სოინინენი (ფინეთი) 260,8; 3. მასაჰიკო ჰარადა (იაპონია) 258,3; 4. ანდრეას ვიდჰოლცლი (ავსტრია) 258,2; 5. პრიმოშ პეტერკა (სლოვენია) 251,1; 6. ტაკანობუ ოკაბე (იაპონია) 250,1; 7. რაინჰარდ შვარცენბერგერი (ავსტრია) 244,2; 8. მიხალ დოლეჟალი (ჩეხეთი) 243,2

#### ციგურაობა

კაცები. 1000 მეტრი

1. იდს პოსტმა (ჰოლანდია) — 1:10.64, 2. იან ბოსი (ჰოლანდია) — 1:10.71, 3. ჰიროიაში შიმიცუ (იაპონია) — 1:11.00, 4. იაკოიან ლივანი (ჰოლანდია) — 1:11.26, 5. სილვიენ ბუშარდი (კანადა) — 1:11.29, 6. ჯერემი უოზერსპუნი (კანადა) — 1:11.39, 7. კეისი ფიცრენდოლფი (აშშ) — 1:11.64, 8. კეისი ბუტიტი (აშშ) — 1:11.75

ქალები. 500 მეტრი

1. კატრიონა ლემეი-დოუნი (კანადა) 1:16,60; 2. სიუზენ აუჩი (კანადა) 1:16,93; 3. ტომომი ოკაზაკი (იაპონია) 1:17,10; 4. ფრანსისკა შენკი (გერმანია) 1:17,45; 5. კიოკო შიმაზაკი (იაპონია) 1:17,68; 6. მარიან ტიმერი (ჰოლანდია) 1:18,15; 7. საბინე ფალკერი (გერმანია) 1:18,19; 8. მონიკა გარბრეხტი (გერმანია) 1:18,45

#### კერლინგი

ქალები

1. კანადა; 2. დანია; 3. შვედეთი; 4. ინგლისი; 5. იაპონია; 6. ნორვეგია; 7. აშშ; 8. გერმანია

კაცები

1. შვეიცარია; 2. კანადა; 3. ნორვეგია; 4. აშშ; 5. იაპონია; 6. შვედეთი; 7. ინგლისი; 8. გერმანია

#### ბარის თხილამურობა

კაცები. 15 კმ.

1. ტომას ალსგარდი (ნორვეგია) — 1 საათი 7 წუთი 1 წამი; 2. ბიორნ დელი (ნორვეგია) — 1:07.02, 85; 3. ვლადიმირ სმირნოვი (ყაზახეთი) — 1:07.31,5; 4. სილვიო ფაუნერი (იტალია) — 1:07.48,9; 5. ფულვიო ველბუსა (იტალია) — 1:07.49,1; 6. მიკა მიულულა (ფინეთი) — 1:07.50,6; 7. მარკუს განდლერი (ავსტრია) — 1:08.14,2; 8. იარი ისომეტსი (ფინეთი) — 1:08.19,4; 9. სერგეი ჩეპიკოვი (რუსეთი) — 1:08.24,3; 10. ნიკლას იონსენი (შვედეთი) — 1:08.25,7

# ჩემპიონობა გაუკვირდა

**ფიგურაობა**

საერთოდ, პოსტმა საშუალო დისტანციების დიდოსტადაა ცნობილი, მაგრამ თუ 1000 მეტრზე იმარჯვებდა, არავის ეგონა. თქვენ წარმოიდგინეთ და, თავად სპორტსმენსაც არ სჯეროდა წარმატების. აკი განაცხადა



იდს პოსტმა

კიდეც სიხარულისგან ცრემლმორეულმა, ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ ოლიმპიურ ჩემპიონობას ამ დისტანციაზე მოვიგებდი, არ მეგონაო.

პოსტმა ჰოლანდიელია, ტიტების ქვეყანაში სპორტის ამ სახეობაში ხეირიანი ნაკრების შედგენა არც ადრე ჭირდა, არც ახლა ჭირს, და მსოფლიო დონის ვარსკვლავებიც არ აკლიათ. პოსტმას თანაგუნდელმა ჯონი რომიმ შაბათს 5000 მეტრ დისტანციაზე იმარჯვა, გუშინ კი ჰოლანდიელებმა მეორე ოქრო იგდეს ხელთ.

— არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდი. მართალი გითხრათ, მედლის იმედი მქონდა, მაგრამ მეტოქეთა გათვალისწინებით ოქროს არ ვგეგმავდი. გამარჯვებამ, ცხადია, ძლიერ გამახარა. ვფიქრობ, ჩემპიონობა ბრწყინვალედ განვლილმა მეორე წრემ მომიტანა. მაშინ თავს შევატყვე, რომ მეტოქეთა ძლევა შემეძლო — განაცხადა აწ უკვე ოლიმპიურმა ჩემპიონმა. სხვათა შორის, მის მიერ ნაჩვენები დრო 1:10.64 წუთი წინა ოლიმპიურ რეკორდზე უმჯობესია. მანამდე საუკეთესო მიღწევა — 1.12.43 ამერიკელ დენ იენსენს ეკუთვნოდა, რომელიც ბოლო, ლილეჰამერის ოლიმპიადის ჩემპიონიცაა.

გამარჯვებული გამარჯვებულად, მაგრამ ჩემპიონთან ერთად პრიზიორები და ხელმოცარულნიც არსებობენ.

ჰოლანდიელთა გასახარად, ვერცხლიც მათმა თვისტომმა იან ბოსმა მოიპოვა.

— გუნდში „ბებერი“ მხოლოდ მე ვიყავი. ლილეჰამერის ოლიმპიადის შემდეგ ახალგაზრდები მოვიდნენ, ამას კი რა შედეგები მოჰყვა, ხედავთ და, მერწმუნეთ, კვლავ დაინახავთ. მიხარია, ჰოლანდია ამ მხრივ ნელ-ნელა რომ ძლიერდება — თქვა ბოსმა.

ჰოლანდიაში ოქრო-ვერცხლი გაემგზავრება, ბრინჯაო კი მასპინძელ ჰიროიაში შიმიცუს ერგო.

**კერლინგი**

კერლინგის ოსტატმა კაცებმა და ქალებმა კვირას ფინალი გაითამაშეს. ქალებისაში გამარჯვების უდავო ფავორიტმა, კანადამ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის, სანდრა შმირლერის თავკაცობით დანიას აჯობა 7:5, მაგრამ თუ კანადაში კერლინგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა და მას 1,3 მილიონ კაცი თამაშობს, დანიაში ამ სპორტის მიმდევრებს ერთადერთი მოედანი ჰქონიათ და ისიც გაქირავებული. ამის გამო კოჭაობის მოყვარულებს თუ ოლიმპიური გუნდის წევრებს სათამაშოდ ხან უცხოეთში უხდებათ წასვლა, ხანაც ჰოკეისტებისა თუ მოციგურავეების ასპარეზის გამოყენება. ასე რომ, ოლიმპიურ ვერცხლს ევროპელებისთვის გული ნამდვილად არ დაუწყვეტია, მით უმეტეს, რომ მათ დანიას ისტორიაში პირველ ზამთრის თამაშების მედალი მოუტანეს.

# არა იქადნო!

კაცების ფინალშიც ფავორიტად კანადელები ითვლებოდნენ. ამათმა ლიდერმა, ჯორჯ კარისმა შაბათს განაცხადა, ჩვენთან კერლინგი ისეა განვითარებული, 50-ე კანადური გუნდიც კი საუკეთესო ევროპულს იოლად აჯობებსო. ჩრდილოამერიკელებს ეს ქადილი ფინალში შვეიცარიამ მწარედ აზღვევინა: გულშემატკივართა ძროხის ზანზალაკების ჟღარუნსა და საყვირების ღრიალში პატრიკ ჰერლიმანის მეთაურობით ამათ 9:3 გაიმარჯვეს, მერე კი ყინულზე ცეკვა-თამაში გამართეს და თავიანთი ლიდერი რამდენჯერმე ჰაერშიც ისროლეს.

**ქვეყნების მონაგარი**

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 6 | 3 | 1 |
| ნორვეგია | 5 | 6 | 4 |
| გერმანია | 5 | 5 | 6 |
| კანადა | 4 | 4 | 1 |
| იაპონია | 3 | 1 | 3 |
| ფინეთი | 2 | 3 | 2 |
| ჰოლანდია | 2 | 3 | 1 |
| აშშ | 2 | 1 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 1 |
| იტალია | 1 | 3 | 1 |
| ავსტრია | 1 | 2 | 6 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 |
| ჩეხეთი | 0 | 1 | 1 |
| დანია | 0 | 1 | 0 |
| უკრაინა | 0 | 1 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 1 |
| ბელგია | 0 | 0 | 1 |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 1 |
| შვედეთი | 0 | 0 | 1 |

# ოქრო რა საშულარია?

**ბარის თხილამურობა**

აქამდე ზამთრის ოლიმპიადებში ექვსი ოლიმპიური ოქრო მხოლოდ საბჭოთა და რუს სპორტსმენ ქალებს მოეგოთ — 60-იან წლებში ლიდია სკობლიკოვა იყო შეუდარებელი, 90-იანებში კი ლუბოვ ეგოროვა, თუმცა ეს უკანასკნელი შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე დოპინგ-ტესტებზე ამხილეს. 30 წლის ბიორნ დელი უკვე არის ექვსი ოქროს მფლობელი. გუშინ კი სარეკორდო, მეშვიდეს მოგებაც შეეძლო, მაგრამ იგი თანამემამულე ტომას ალსგარდმა „გაწირა“ — დრამატულ ფინიშში სულ რაღაც წამებით მოუგო. აბა, წარმოიდგინეთ, როგორი ბრძოლა იქნებოდა მათ შორის, როცა მესამეადგილოსანი ყაზახი მოთხილამურე ვლადიმირ სმირნოვი სკანდინავურ წყვილს ნახევარ წუთამდე ჩამორჩა.

გამარჯვებული ხუმრობის ხასიათზე იყო: „რა თქმა უნდა, ჩვენს შორის დიდი დაპირისპირება იყო. განა არ ვიცოდი, რომ ბიორნი მეშვიდე ოქროსკენ მიილტვოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, სპორტმა შეცოდება არ იცის, ამიტომ ჩვენს შორის სულ რაღაც ერთი ოქროს მედლის გამო შუღლი არ ჩამოვარდება. ისე, მე და ბიორნი ერთი ქალაქიდან ვართ (ნორვეგიის ჩრდილოეთში მდებარე ნანესტადო), ასე რომ ჩვენ ოლიმპიური ოქროსთვის კი არა, საქალაქო პირველობისთვის ვიბრძოდით“.

ისე, იყო დრო, დელი ალსგარდს 20 ან 25 წამითაც უსწრებდა, მაგრამ დალილობამ მაინც თავისი გაიტანა — ნორვეგიელ სპორტსმენისთვის ეს ოლიმპიადაზე მოპოვებული მეოთხე ვერცხლი გამოდგა.

— საწყენია, ოლიმპიურ ოქროს და საოცნებო რეკორდს ერთ წამში რომ დათმობ, კარგი იქნებოდა, მემარჯვა, მაგრამ, მერწმუნეთ, ალსგარდს ოქრო გულით გამეხარდა. ვიცოდი, ის სწორ გზაზე სწრაფი იყო, ბოლოს და ბოლოს მე მისი წლები გავლილი მაქვს, ამიტომ უპირატესობის მოპოვებას მთაგორიან ადგილებში ვცდილობდი. საბოლოოდ ვერცხლი ავიღე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონი ვერ გავხდი, ეს მედალი ჩემთვის მაინც ძვირფასია, ზოგისთვის ესეც სანატრელია, — განაცხადა დელიმ.

ისე, თეთრი ოლიმპიელების ყველაზე ტიტულოვანი მამაკაცი სპორტსმენი და თხილამურობის ცოცხალი ლეგენდა საერთაშორისო კარიერის დასრულებას განაგოს შემდეგ აპირებს. მეშვიდე ოქროს მედალსაც, ალბათ, იაპონიაშივე მოიგებს, რადგან საეჭვოა, გუნდურ შეჯიბრში ნორვეგიელებს ვინმემ აჯობოს.

**ჰოკეი**

14 თებერვალი

D ჯგუფი

**აშშ — ბელარუსი 5:2**

**(2:1, 1:0, 2:1)**

**შაიბები: ჩელიოსი 2 (1:0), ლაფონტენი 1 (2:0), კარაჩუნი 2 (2:1), ლიჩი 1 (3:1), ვ. პანკოვი 1 (3:2), ჰალი 1 (4:2), დიდმარში 1 (5:2)**

ამ ჯგუფის სამი გრანდიდან ჯერჯერობით ყველაზე სუსტად აშშ-ის ნაკრები გამოიყურება. ამერიკელებს დებიუტანტ ბელარუსებთანაც ძალიან გაუჭირდათ, შეიძლება ითქვას, რომ მათ გამარჯვების მოპოვებაში თავად მეტოქე დაეხმარა: ბელარუსები უმცირესობაში თამაშისას ორჯერ დაისაჯნენ რიცხობრივი შემადგენლობის დარღვევისთვის და აშშ-ის ნაკრებმაც გამოიყენა ორკაციანი უპირატესობა — ჩელიოსმა და ლაფონტენმა 2 გოლი გაიტანეს. თუმცა, ყოფილი საბჭოელები ამის შემდეგ გააზრებულად ათამაშდნენ და აღარც შეცდომებს უშვებდნენ. ჯერ კიდევ პირველ პერიოდში კარაჩუნმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მერე კი გუნდებმა გოლები გაცვალეს. ამერიკელები ბედს უნდა უმადლოდნენ, რომ იოლად გადარჩნენ, რადგან ბელარუსთა დარტყმები ორჯერ კარის ძელმა მოიგერია, ერთხელაც კი მაიკ მოდანომ შაიბა კარის ხაზიდან გამოიტანა. ფავორიტებმა მხოლოდ მატჩის მიწურულს გატეხეს ურჩი მეტოქე. ამ მატჩში ისინი თავს ვერაფრით მოიწონებენ, ერთადერთი, რაშიც გამოირჩნენ, რიცხვმრავლობის გამოყენებაა (ოთხჯერ). ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ აშშ-ის ნაკრების მწვრთნელმა რონ უილსონმა სასტიკად გააკრიტიკა თავისი მოთამაშეები: „ჩვენ აგრესიულობა გვაკლდა და ცოტასაც ვმოძრაობდით, ბელარუსების დალაგებული და მძლავრი თამაში კი იმის მომასწავებელია, რომ ევროპას კიდევ ერთი ოსტატური გუნდი შეემატა“ — დასძინა მან.

**კანადა — შვედეთი 3:2**

**(0:1, 3:0, 0:1)**

**შაიბები: ლიდსტრიომი 1 (0:1), ნუინდაიკი (1:1), მაკინისი 2 (2:1), ბლეიკი 1 (3:1), სუნდინი 2 (3:2)**

ამ მატჩმა ნამდვილად დაამშვენა ტურნირი. ისევე, როგორც პირველ შეხვედრაში, შვედებმა თავიდან დათმეს ინიციატივა და კონტრშეტევებზე ააგეს თამაში, მაგრამ პირველ პერიოდში არც კანადელებს შეუწუხებიათ მაინცდამაინც თავი და მოედანზეც თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. უფრო იღბლიანები სკანდინაველები აღმოჩნდნენ — მათ მე-16 წუთზე რიცხვმრავლობაში ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ლიდსტრიომმა რენბერგის მიერ კარს უკნიდან პასი გამოიყენა. ცხადია, მოვლენათა ასეთი განვითარება კანადელებს ხელს არ აძლევდათ, რადგან წარმატების შემთხვევაში შვედები წინასწარ დაიკავებდნენ პირველ ადგილს ჯგუფში და ისინიც ამოქმედდნენ. სკანდინაველებმა თანდათან დაცვაში დაიხიეს და უკვე მეორე პერიოდის შუაგულში ნათელი გახდა, რომ მატჩის ბედი მალე გადაწყდებოდა. ასეც მოხდა, ოკეანისგაღმელთა გამარჯვებას კი დალასელმა ჯო ნუინდაიკმა ჩაუყარა საფუძველი. ჰოკეისტმა, რომელიც სუპერვარსკვლავთა გვერდით მუდამ იჩრდილებოდა, ახლა საუცხოოდ ითამაშა და შვიდ წუთში გატანილ სამივე გოლში უშუალო მონაწილეობა მიიღო. ჯერ იყო და, ნუინდაიკმა ბლეიკის შორეულ დარტყმას ოსტატურად შეუცვალა მიმართულება, პერიოდის ბოლო წამებზე კი ლოსანჯელესელი მცველი თავად მოამარაგა პასით. ეს შაიბა გადამწყვეტი აღმოჩნდა, მანამდე კი ტურნირის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გავიდა: ვეტერანმა მცველმა ელ მაკინისმა, რომელიც ნჰლ-ში უძლიერეს დამრტყმელადაა ცნობილი, შვედთა მთელ ოთხეულს (ისინი ამ წუთებში უმცირესობაში იყვნენ) გვერდი აუარა და არც მეკარე სალო დაინდო. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ სკანდინაველები გატყდებოდნენ, მაგრამ ბოლო მესამედში მათ თავდასხმაშიც იმარჯვეს და მეტოქეს ისე შეუტიეს, თვით გრეცკი და ლინდროსიც კი დაცვაში ჩაკეტეს. ათამაშებულმა შვედებმა ერთი გოლი გაიტანეს, რამდენიმე მწვავე მომენტიც შექმნეს და რომ არა მეკარე რუა, ერთ ქულას უეჭველად მოიპოვებდნენ.



აშშ — ბელარუსი. ბრედ ჰალს გოლის გატანას ულოცავენ

15 თებერვალი

C ჯგუფი

**რუსეთი — ფინეთი 4:3**

**(1:2, 2:1, 1:0)**

**შაიბები: კოივუ 1 (0:1), ლეჰტინენი 1 (0:2), პ. ბურე 3 (1:2), ლეჰტინენი 2 (1:3), ნემჩინოვი 1 (2:3), იაშინი 3 (3:3), მოროზოვი 1 (4:3)**

მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა. ორივე გუნდის მოთამაშეები ხშირად ცდებოდნენ და მათთვის უჩვეულოდ ბევრი საჯარიმო წუთიც დააგროვეს, თანაც, არაერთხელ წაკინკლავდნენ. თავიდან რუსები უფრო ღელავდნენ, ორჯერ უსამართლოდ დაჯარიმდნენ და კოივუს სამეულმაც ჩინებულად გამოიყენა რიცხვმრავლობა. ამთავითვე ვიტყვით, რომ ფინელთა წამყვანი ტრიო, რომელშიც სელიანესა და კოივუს ამჯერად ლეჰტინენი შეუამხანაგდა, ჩეხებთან მატჩისგან განსხვავებით, ერთობ მრისხანედ გამოიყურებოდა. მათ არა მარტო რუს მცველებს გაუმწარეს სიცოცხლე, არამედ რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ იურზინოვიც გვარიანად ანერვიულეს. მერე კი პაველ ბურემ გაამხნევა თავისიანები და, როგორც ჭეშმარიტ კაპიტანს შეშვენის, მათი გაძღოლა იკისრა: ჯერ იყო და, მისი გარღვევა ფინელებმა წესის დარღვევით შეაჩერეს, ხოლო შემდეგ პაველმა თავად გამოიყენა რიცხვმრავლობა. ამას ერთი საგულისხმო მომენტი მოჰყვა — ერთ-ერთი სახიფათო შეტევის დროს რუსების აგრესიულმა მცველმა კასპარაიტისმა, შემთხვევით თუ განზრახ, ფინელთა მეკარეს სახეში იდაყვი უთავაზა, რამაც სკანდინაველები მეტად გაალიზიანა. ისინი ერთობ ეუხეშებოდნენ მეტოქეს, რის გამოც დაისაჯნენ კიდეც. მართალია, შეუჩერებელმა სელიანემ (3 პასი) კიდევ ერთხელ მოატყუა მცველები და ლეჰტინენს მეორე შაიბა შეაგდებინა, მაგრამ ზედიზედ რამდენჯერმე რიცხვმრავლობაში მყოფმა რუსებმა გაათანაბრეს ანგარიში. განსაკუთრებით ლამაზი იყო სერგეი ნემჩინოვის გოლი, რომელიც მან გონჩარის უზუსტესი პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასვლის შემდეგ გაიტანა. მეხამე პერიოდში გუნდები დამშვიდდნენ, მაგრამ 57-ე წუთზე ახალგაზრდა მოროზოვმა კვლავ ააღელვა ფინელები — მან ახლო მანძილიდან დალაშქრა მიულინის კარი.

**ჩეხეთი — ყაზახეთი 8:2**

**(1:0, 3:2, 4:0)**

**შაიბები: სტრაკა 1 (1:0), ბერანეკი 1 (2:0), კამენცევი 2 (2:1), რუჩინსკი 1 (3:1), რუჟიჩკა 2 (4:1), ა. კორეშკოვი 3 (4:2), რუჩინსკი 2 (5:2), პატერა 2 (6:2), მ. პროჰაზკა 1 (7:2), ჰამრლიკი 1 (8:2)**

ჩეხები, ისევე, როგორც რუსები, იოლად გაუსწორდნენ ყაზახეთის ნაკრებს. მართალია, ორი პერიოდის შემდეგ ანგარიში არცთუ კატასტროფული იყო აზიელთათვის, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, რომ ყაზახ მცველებს უჭირდათ სწრაფ ჩეხ თავდამსხმელებთან გამკლავება. ევროპელთა უპირატესობა ბოლო მესამედში გამოიკვეთა, როცა მათ ოთხი უპასუხო შაიბა შეაგდეს. აღსანიშნავია, რომ ჩეხთაგან მხოლოდ სახელოვანი მოთამაშეები — იაგრი, ჰამრლიკი და სტრაკა როდი გამოირჩევიან, მათი ნაკლებად ცნობილი პარტნიორებიც აქტიურობენ. ასე რომ, გუნდს ოთხი თითქმის თანაბარი ძალის სამეული ჰყავს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსი კი პატერასა და მარტინ პროჰაზკას დუეტია.

მატჩის მიწურულს საკუთარი უსუსურობით გამწარებული ყაზახები უხეშად ათამაშდნენ, რასაც რამდენჯერმე ჩხუბი მოჰყვა. საბოლოოდ მეტოქეებმა 84 საჯარიმო წუთი დააგროვეს, ეს კი ფინალური ეტაპის რეკორდი გახლავთ.

C ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 11:2 | 4 |
| რუსეთი | 2 | 0 | 2 | 13:5 | 4 |
| ფინეთი | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 2 | 4:17 | 0 |

D ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 2 | 0 | 0 | 8:2 | 4 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 6:5 | 2 |
| აშშ | 1 | 0 | 1 | 7:6 | 2 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 2 | 2:10 | 0 |

# ჯავრი მჭირს, ჯავრი რუსისა

პიტსბურგისა და ჩეხეთის ნაკრების ლიდერს იარომირ იაგრს კვირას 26 წელი შეუსრულდა. ჰოკეისტმა ეს მოვლენა ყაზახეთთან შეხვედრის შემდეგ დიდი ზარ-ზეიმით როდი აღნიშნა, მისი თქმით, მთავარ საჩუქარს 16 თებერვალს მიუძღვნის საკუთარ თავს და ამაში რუსებთან თამაში იგულისხმა. შეგახსენებთ, რომ 1968 წელს ჩეხეთ — სლოვაკეთში მომხდარი ცნობილი ამბების შემდეგ იაგრი 68-ე ნომრით თამაშობს. ასე რომ, ჩეხი ვარსკვლავისთვის ეს ორთაბრძოლა მეტად პრინციპული იქნება.

# შეჩვეულს ნუღარ გადაგვაჩვევთ

სანამ ნჰლ-ის სუპერვარსკვლავები თავიანთი ოსტატობით ხიბლს მატებენ ოლიმპიადას, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის (IIHF) და ლიგის ხელმძღვანელებმა წინასწარ მოილაპარაკეს 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის (აშშ) ოლიმპიადაში პროფესიონალთა მონაწილეობის თაობაზე. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მხარეები ვერ შეთანხმდნენ, თუმცა, IIHF-ის ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, მოლაპარაკება ორი თვის შემდეგ განახლდება.

# მუშტების თაიგული დიაცებისთვის

ქალთა ტურნირი

14 თებერვალი

**ჩინეთი — ფინეთი 1:6; შვედეთი — იაპონია 5:0; აშშ — კანადა 7:4**

ჯგუფური ტურნირის ბოლო დღეს სწორედ ის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს, რომელთაც სამშაბათს ფინალში და მე-3 ადგილისთვის მატჩში მოუწევთ დაპირისპირება. ცხადია, ყველაზე დიდი ინტერესი ფინალისტების — აშშ-ისა და კანადის ნაკრებების შეხვედრამ გამოიწვია. ორი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, მეტოქეებმა გოლები გაცვალეს, ბოლო მესამედში კი საუცხოო თამაში გაჩაღდა — გუნდებმა 9 გოლი გაახერხეს. ამერიკელებმა ამჯერად აჯობეს თავიანთ უშუალო მოწინააღმდეგეს, რაც მოულოდნელობად უნდა ჩაითვალოს — მანამდე, ოთხ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ კანადელებმა იმარჯვეს. ორი შაიბა აშშ-ის ნაკრების თავდამსხმელმა, ცნობილი ამერიკელი ჰოკეისტის ტონი გრენატოს დამ, მერიონმა შეაგდო. ამ ჩინებულ ორთაბრძოლას არც მუშტი-კრივი დააკლებია: ძველმა მეტოქეებმა ქალთა ჰოკეისთვის უჩვეულოდ ბევრი, 48 საჯარიმო წუთი დააგროვეს. ცხადია, ყოველივე ეს სიმწვავეს შემატებს ფინალურ მატჩს. აკი დაიქადნა კიდეც კანადელთა მწვრთნელმა შენონ მილერმა, ამერიკელებს ფინალში მივუზღავთ საკადრისსო.

მე-3 ადგილისთვის მოცილე ფინეთისა და ჩინეთის გუნდების შეხვედრა კი გაცილებით მშვიდად წარიმართა და ევროპელთა უპირატესობა უდავო იყო.


გიალო ჩხაიძე

## ჩხაიძე — პირველი დინამოელი ტორპედოში

სამეორეწრეო სამზადისში ქუთაისის „ტორპედომ“ დინამოელი გიალო ჩხაიძე დაიმატა. ამ ფეხბურთელს, ეროვნული ჩემპიონატი „გურიაში“ რომ დაიწყო და შემდეგ „სამტრედიის“ გავლით „დინამო-ში“ მოხვდა, „ტორპედოში“ მანამდეც უთამაშია. ეს ადრე, საბჭოურ წლებში იყო.

ჩხაიძე პირველი დინამოელია ვინც ამ რვა წლის მანძილზე „ტორპედოში“ გადავიდა.

„ტორპედოს“ თავიდან ახალგაზრდა ირაკლი გემეზაშვილის გადაყვანა სდომებია, მაგრამ ამას ჩემპიონი არ დაყაბულდა. „დინამო“ ჯერჯერობით არც ჩხაიძის გაყიდვას აპირებს. „ტორპედოს“ პრეზიდენტ ბესიკ ჯიქიას თქმით, თბილისურ კლუბთან ჯერ მხოლოდ იჯარაზე მოილაპარაკეს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ მათი წინადადება კიდევ დაიხვეწოს და საბოლოოდ ჩხაიძე გამოისყიდონ.

## დინამო: ორი კვირით ბელგიაში

შაბათს თბილისი-ფრანკფურტის ავიარეისით „დინამომ“ ბელგიისკენ აიღო გეზი. ქვეყნის ჯერაც უცვლელი ჩემპიონები სამეორეწრეო სამზადისში ბოლო, მესამე ეტაპს გაივლიან. დავით ყიფიანმა ნაკრებებში გაშვებული ფეხბურთელები დაიბრუნა და საბელგიო ამოცანები დაუსახა. „დინამო“ გაძლიერებულ წვრთნასთან ერთად რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრასაც ჩაატარებს. პირველი მეტოქე რუმინეთის „სტიაუაა“, რომელიც ბელგიას ამდენი ხნით სწორედ ჩვენი ჩემპიონის გულისთვის შემორჩა. მეორე მეტოქედ არჩილ არველაძის „ბრედა“ გველოდება. ამათთან 17 თებერვალს მოგვიწევს თამაში. მესამედ 24 თებერვალს, ბელგიური „ვესტერლო“ შეგვეჭიდება. ამათ გარდა „დინამოს“ კიდევ არაერთი არჩევანი გააჩნია, მაგრამ დანარჩენ სპარინგ-პარტნიორთა ვინაობას თავად მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს. 22 ფეხბურთელთან ერთად, რა თქმა უნდა, მწვრთნელები, დასტაქრები და სხვა პერსონალიც გაემგზავრება. მოკლედ, ბელგიაში „დინამოს“ 32-კაციანი დელეგაცია წავიდა.

## ჩუხუა წავიდა, სოლოღაშვილი დაბრუნდა

თასის გათამაშების ტრადიციულმა ფინალისტმა „ბათუმმა“ შორეულ მგზავრობას თავი აარიდა და მოსამზადებლად თურქეთი ირჩია, სადაც ორ კვირას დაჰყოფს. როგორც ბათუმელთა კლუბის ადმინისტრატორმა მალხაზ ჩიჩუამ შეგვატყობინა, აჭარული კლუბი ხუთი საკონტროლო თამაშის ჩატარებას გეგმავს, ჩიჩუას თქმითვე, გუნდიდან წასულა თავდამსხმელი ჩუხუა. ჯუბას კარგა ხანია კარიერის უცხოეთში გაგრძელება სურდა. „ბათუმს“ დაბრუნებია დავით სოლოღაშვილი, რომელიც გუნდიდან ერევნის „არარატთან“ სკანდალური სათასო მატჩის შემდეგ წავიდა. ნებით თუ უნებურად დათოს გამო „ბათუმი“ ხომ თასების თასის გათამაშებას გამოეთიშა.



თანაგუნდელებს შეუერთდნენ ნაკრებში გამოძახებული ნიკა ტოგონიძე და გელა შეყილაძე, რომლებიც მალტიდან გამარჯვებულნი დაბრუნდნენ.

ისიც შევიტყვეთ, რომ გელა შეყილაძეს გერმანული ბუნდესლიგის რამდენიმე კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო მისი ტრანსფერი არ შედგა. თავად ფეხბურთელმა სეზონის ბოლომდე ბათუმში დარჩენა არჩია. გერმანიის გარდა ნაკრების მცველს ბელგიის და ჰოლანდიის ვარიანტებიც გაუჩნდა. ამიტომ ახლა აჩქარება არას არგებს.

ჯუბა ჩუხუა



სუხიაშვილი წასვლას ითხოვს

## სამგურალი — უარი ქართულს

კვირაზე მეტია, წყალტუბოს „სამგურალს“ წამყვანი ფეხბურთელი სუხიაშვილი დაეკარგა. იგი იანვრის ბოლოს საქართველოში შეკრებაზე ჩამოსულ ნოვოროსიისკის „ჩკალოვეცში“ ისინჯებოდა. ბოლომდე ასე რომ ყოფილიყო, წყალტუბოელებს მისი პოვნა არც დასჭირდებოდათ და გაუჭირდებოდათ — „ჩკალოვეცი“ ხომ სანატორიუმ „წყალტუბოში“ ცხოვრობს. „სამგურალის“ ხელმძღვანელობა იმას შეუშფოთებია, რომ სუხიაშვილი, ისევე როგორც სამგურალელი გიორგობიანი და ტორპედოელი ნოზაძე, ფოთის „კოლხეთს“ გაჰყოლია ბულგარულ ბურგასში. არადა, „სამგურალის“ პრეზიდენტის, გრიგოლ ქათამაძის თქმით, არსებობს შეთანხმება, რომლის ძალითაც გიორგობიანსა და სუხიაშვილს მხოლოდ უცხოურ გუნდში გაუშვებენ. ქართული კლუბისთვის დათმობას კი „სამგურალი“ არაფრით აპირებს.

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიელი** თავდამსხმელი მაზინიო, რომელიც იაპონურ ჯეი ლიგაში, კერძოდ, „კაშიმა ანთლერზში“ გამოდის, აზიის საკლუბო თასზე თამაშისას დაშავდა და ჯეი ლიგის ახალი სეზონის პირველ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მეტიც, 31 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ალბათ სამი თვის მანძილზე ტრავმატოლოგთა პაციენტი იქნება. მან „ბურმესეს“ გოლკიპერ აუნგ კიაუ კიაუსთან შეჯახებისას ფეხი მოიტეხა. იმ ავბედით დღეს მისმა „კაშიმამ“ 3:0 მოიგო.

**ესპანელი** სანტიაგო კანისარესის მომავალი მადრიდის „რეალში“ საეჭვოა. ასეთია ესპანური გაზეთების ცნობა. თურმე კანისარესის კონტრაქტს ესპანეთის ჩემპიონთან ახლა, ზაფხულზე ვადა გაუვა, მისმა აგენტებმა კი კლუბის ხელმძღვანელებთან ახალი კონტრაქტი ვერ გაახერხეს. როგორც ამბობენ, კანისარესს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კიდევ ხუთი წლით სურდა დარჩენა, წელიწადში კი 1,33 მილიონი დოლარის მიღებას ვარაუდობდა საწყისი 3,33 მილიონის ზევით. მეკარის აგენტმა ხინეს კარვახალმა თქვა, რომ მოთხოვნათაგან „რეალმა“ ერთიც არ დააკმაყოფილა, ხოლო კლუბის ინკოგნიტო წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთ თანხას გოლკიპერს არასდროს გადაუხდიან. როგორც ეტყობა, კანისარესის ნავსაყუდელი მისით ერთობ დაინტერესებული „ვალენსია“ იქნება.

**არგენტინის** ნაკრებში აღარ ჩანს მადრიდის „რეალში“ მოთამაშე ფერნანდო რედონდო, რამაც ერთობ აღაშფოთა მისი დიდი თანამემამულე ალფრედო დი სტეფანო. „რედონდო ნებისმიერი გუნდისთვის შეუცვლელი მოთამაშეა — თქვა არგენტინისა და ესპანეთის ეროვნული გუნდების ყოფილმა ვარსკვლავმა — მაგრამ რა გაეწყობა, ყველა მწვრთნელს თავისი მოსაზრებები აქვს“ საქმე ის გახლავთ, რომ არგენტინის ნაკრების თავკაცს, წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელს, დანიელ პასარელას არ ეჭაშნიკება რედონდოს გრძელი თმა, რომლის მოკლედ შეჭრაზეც ფერნანდო კატეგორიულ უარს აცხადებს. ისე კი, სექტემბერში, მადრიდელი ნახევარმცველი მაინც ეწვია პარიკმახერს, ოღონდ მეტისმეტადაც არ გადაღალა იგი. დი სტეფანო, თავის მხრივ, პასარელას მუდმივად აკრიტიკებს, თუმცა თვლის, რომ არგენტინას მაინც აქვს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი.

**იტალიელი** მცველი კრისტიან პანუჩი ხუთშაბათს მადრიდის „რეალის“ ვარჯიშიდან გაიქცა და გუნდში დამბრუნებელი აღარ ვარო, განაცხადა. იგი 2 თებერვალს „ვალენსიასთან“ თამაშის შესვენებისას შეცვალეს, შემდეგი თამაში კი გამოატოვებინეს, ამიტომაც განუცხადა გაქცეული მცველის წარმომადგენელმა ტიბერიო კავალერიმ გაზეთ „მარკას“, ჩემი კლიენტი მადრიდში სკამზე დასაჯდომად არ ჩამოსულაო. პანუჩიმ გუნდიდან წასვლის თაობაზე „რეალის“ პრეზიდენტ ლორენსო სანსთან ისურვა შეხვედრა, შეხვდა კიდეც, მაგრამ ოთახიდან სულ სხვა განწყობით გამოვიდა. „ბოდიშს ვუხდი კლუბს, იუპ ჰაინკესს (მწვრთნელს), ქომაგებს და თანაგუნდელებს. სტრესის პირას ვიყავი, რადგან დედაჩემი ძლიერ ავადაა და თან მეც სათადარიგოთა სკამზე დამსვეს. ჩვეულებრივ თვინიერი პიროვნება გახლავართ. რალაცნაირად თავი უნდა გავართვა ჩემს წინაშე წამოჭრილ პრობლემებს“ — თქვა პანუჩიმ, რომლის კონტრაქტი „რეალთან“ 2003 წლამდეა.

**პორტუგალიის** ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ბრუნო კაირესი ღარიბი „ბენფიკადან“ სექტემბერში ესპანურ „სელტაში“ გადავიდა, მაგრამ მარჯვენა მუხლის მყესები გაიწყვიტა. ტრავმამ ფეხბურთელს წინა კვირას „სალამანკასთან“ შეხვედრაში უწია. ექიმებმა თქვეს, კაირესმა შესაძლოა ხუთი თვე ვერ ითამაშოსო, მაგრამ „სელტას“ ხელმძღვანელებმა სამჯერ დააკაკუნეს, სამშაბათის ოპერაციის შემდეგ პორტუგალიელი იქნებ გაზაფხულზევე გამოჯანმრთელდესო.

# ამჯერად შოთამ ვერ გაიტანა

## ჰოლანდია

XXII ტური

**სიტარდი 2:1 ტილბურგი**

1:0 ჰამინგი (7), 2:0 დასენი (36), 2:1 გალასიკი (52)

**ბრედა 2:0 მაასტრიხტი**

1:0 ბოგდანოვიჩი (76), 2:0 არველაძე (90)

**როდა 1:2 ვალვაიკი**

0:1 ვან არუმი (23), 0:2 რონდალი (28), 1:2 პეტერსი (60)

**ნაიმეგენი 0:2 გრონინგენი**

0:1 უგო (83), 0:2 ჰიზინგი (90)

**გრააფსხაპი 3:3 ვიტესი**

1:0 ვილნისი (3), 2:0 ალი (12), 3:0 გერიტსენი (18), 3:1 კუროვიჩი (22), 3:2 მახლასი (23), 3:3 კუროვიჩი (57)

**სპარტა 2:4 ჰერენვენი**

0:1 ჰანსმა (30), 1:1 ვან დერ მეერი (45), 1:2 მუგურ გუსატუ (48), 1:3 ვან ნისტელროი (49), 2:3 ბენფურმი (72), 2:4 ტალანი (79)

**ტვენტე 0:0 ფეიენოორდი**

**უტრეხტი 4:1 ვოლენდამი**

1:0 მოლსი (4), 2:0 ბუთი (13), 2:1 ბოოგერსი (45), 3:1 მოლსი (81), 4:1 ბუთი (86)

**ეინდჰოვენი 1:1 აიაქსი**

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოაიერი (მიოლერი 62), სტამი, ფაბერი, ნუმანი, იონკი, კოკუ, ნილისი (ვალკსი 88), ზენდენი, სტინგა (ივანი 80), ხოხლოვი

აიაქსი: ვან დერ სარი, რუდი, ბლინდი (მელხიოტი 76), ოლისე, ფ. დე ბური, რ. დე ბური, გორი, ვიჩხე, ბაბანგიდა (ვან დერ მეიდე 80), არველაძე, ლაუდრუპი

0:1 რ. დე ბური (24), 1:1 ზენდენი (62)

გუშინ „ეინდჰოვენისა“ და „აიაქსის“ შეხვედრაში შოთა არველაძემ გოლი ვერ გაიტანა. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ მასპინძლებმა ამსტერდამელებს კარისაკენ მიმავალი ყველა გზა საგულდაგულოდ გადაუკეტეს. თამაშის მაცქერალს შეექმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ PSV-ს მოთამაშეებმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ, რომელ წუთში რას მოიმოქმედებდა დანიელი მწვრთნელის მორტენ ოლსენის გუნდი. მათთვის თითქოს არ არსებობდა საიდუმლო მეტოქის თამაშში და ამაში ბრალი ბუნებრივია თავად სტუმრებს მიუძღოდათ. გნებავთ ის ერთადერთი გოლი, რომელიც რონალდ დე ბურმა პირველი ტაიმის შუაში გაუტანა მასპინძლებს, იმდენად აიაქსელთა დახვეწილი კომბინაციის შედეგი არ იყო, რამდენადაც „ეინდჰოვენის“ მეკარის რონალდ ვატერეუსის შეცდომის ბრალი. ვატერეუსმა საჯარიმო იმიტომ მიატოვა, რომ არველაძისთვის არ მიეცა მასთან პირისპირ გასვლის საშუალება. შოთა ბურთს გადაახტა, ასე რომ მეკარემ თავდაპირველი ამოცანა წარმატებით გადაჭრა, მაგრამ შემდეგ მოედნის შუაგულისკენ გაიქცა და ჭკუასა და სისწრაფეში წააგო — რონალდ დე ბურმა კარგა შორიდან იხელთა მომენტი და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა გაათანაბრეს. გაათანაბრეს იმიტომ, რომ ამსტერდამელთა საგანგებოდ სუსტი რგოლი, დაცვა ნელ-ნელა ამწიფებდა საამისო პირობებს და ის, რომ მათ კარში ერთ გოლზე მეტი არ გავიდა, პირწმინდად ჩინებული მეკარის ედვინ ვან დერ სარის დამსახურება გახლდათ. გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ, რომ არა ვან დერ სარი „აიაქსი“ ის ვერ იქნებოდა რაც დღესაა. იმავე მცველებს, რომლებიც შეცდომას უშვებენ, გოლკიპერისა ეიმედებათ. მათ ზურგს უკან გამოცდილი საყრდენი რომ არ ეგულებოდეთ, ეჭვი არაა გაცილებით ნერვიულნი და თავდაუჯერებელნი იქნებოდნენ.

და მაინც, როგორც კოკა ვერ მოიტანს ყოველთვის წყალს, ისე ვან დერ სარი ვერ მოიგერიებს ყველა დარტყმას. ასეთი რამ ბუნების კანონებიდან გამომდინარე შეუძლებელია. ამიტომაც იყო, რომ „აიაქსის“ მცველთა მორიგი შეცდომით „ეინდჰოვენის“ მარცხენა გარემარბმა ბუდევინ ზენდენმა ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა.

დავუბრუნდეთ შოთა არველაძეს, რომელსაც ბუნებრივია საგანგებო ყურადღებას ვუთმობთ, როგორც თანამემამულეს და როგორც საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარ თავდამსხმელს. უნდა ალინიშნოს, რომ არველაძეს გუშინ ჰოლანდიური ფეხბურთის ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა, დღეისათვის ქვეყნის საუკეთესო მცველად აღიარებულმა იააპ სტამმა დიდი ბრძოლა შესთავაზა. შოთასთვის ბურთის გადაწოდება და მისი სტამთან ორთაბრძოლა ერთი იყო. სტამმა ქართველის უვნებელსაყოფად ერთობ ძალისმიერი ხერხი აირჩია. მისი ყაიდის გადამკიდე კაცს გეგონებოდა ყოველი ორთაბრძოლის შემდეგ არბიტრმა „აიაქსის“ სასარგებლოდ უნდა დაუსტვინოსო, მაგრამ არბიტრი ხშირად ასე არ სჯიდა. სულაც არ გვსურს იმის თქმა, რომ მსაჯმა არველაძის მიმართ ტენდენციურობა გამოიჩინა, მაგრამ მეორე ნახევრის ერთ ეპიზოდში მან სტამი ნამდვილად დაინდო. ეპიზოდი ასეთი იყო: სიღრმიდან მიღებულ ბურთს ქართველმა ფეხი აჰკრა, მცველს თავზე გადაატარა და თავადაც შემობრუნდა რათა მეკარესთან პირისპირ შევარდნილიყო, მაგრამ იმედგადაწურულმა სტამმა იგი აკრძალული ილეთით შეაჩერა — დაბლა დასცა. ვგონებთ არბიტრს აქ სულ მცირე ყვითელი ბარათის ალმართვა მართებდა...

არბიტრმა მიქაელ ლაუდრუპის წაქცევისთვის გააკეთა ის, რაც ზემოაღწერილ მომენტში არ იკისრა. მან ორჯერ, დაახლოებით ორი წუთის მანძილზე, ერთმანეთს მიაყოლა ორი წითელი ბარათი. პირველად ლაუდრუპის მსხვერპლი ვიმ იონკი შეიქნა, მეორედ — ერნესტ ფაბერი. ორკაციანმა უპირატესობამ „აიაქსს“ მაინც არაფერი მისცა და ეს გასაგებიცაა, რადგან იონკისა და ფაბერის გაძევებები თამაშის დამთავრებამდე მხოლოდ 3 წუთით ადრე დაიწყო.

ისე კი საკითხს მეორე მხარეც აქვს. რად უნდოდა „აიაქსს“ მაინცდამაინც გამარჯვება? არაფრად! გუნდი ერთობ ჩამორჩენილ უახლოეს მდევარს სტუმრად ეთამაშებოდა და ფრით ფაქტობრივად ოქროს მედლების ერთადერთ კანდიდატად იტოვებდა თავს. ისეთ ლიგაში ჰოლანდიისა რომ გახლავთ, „აიაქსისთვის“ ბევრი ქულის დაკარგვა ამიერიდან გამორიცხულია.

და მაინც, ზოგადად აჯობებდა ის გუნდი, სადაც ქართველი ფორვარდი თამაშობს, მითუფრო მოსკოვის „სპარტაკთან“ უეფას თასზე ბრძოლის წინ, ეჭვის მცირე საბაბსაც არ ტოვებდეს.

— მე ბედნიერი მწვრთნელი ვარ. ჩვენი მიზანი არ წაგება გახლდათ — განაცხადა მატჩის შემდეგ ოლსენმა, რომელმაც თავისი ფეხბურთელების საყვედურად ისიც თქვა, რომ ისინი სივრცეებს სათანადოდ ვერ იყენებდნენ და აგრესიულობაც შესამჩნევად აკლდათ.

— „ეინდჰოვენს“ დღეს რისკი მოეთხოვებოდა. „აიაქსისთვის“ შეხვედრის ფრედ დამთავრება საუცხოო შედეგი გახლდათ. აწ უკვე შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა ერთობ რთულია — ასეთი გახლდათ PSV-ს მწვრთნელის დიკ ადვოკაატის მოსაზრება.

და ბოლოს, ადვოკაატზე: ამ გონიერ პროფესიონალს, როგორც ამბობენ შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსი“ ეპატიჟება თავისთან. „რეინჯერსს“ მოგეხსენებათ სამშობლოში პირველობის მოპოვების პრობლემა არ აქვს, აი, ევროთასებზე კი...

— გადაწყვეტილებას ამ კვირაში მივიღებ — ალუთქვა ადვოკაატმა საზოგადოებას.

გლაზგოელები ბოლო ორი კვირაა ჰოლანდიელ მწვრთნელს დაჟინებით სთხოვენ პასუხს, თან დადებითს. ნათელი პასუხი ჯერ არ ჩანს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 22 | 19 | 2 | 1 | 68:10 | 59 |
| ეინდჰოვენი | 22 | 13 | 8 | 1 | 63:27 | 47 |
| ჰერენვენი | 21 | 12 | 5 | 4 | 37:25 | 41 |
| ვიტესი | 22 | 11 | 6 | 5 | 52:37 | 39 |
| ფეიენოორდი | 22 | 11 | 6 | 5 | 38:27 | 39 |
| ტილბურგი | 22 | 10 | 3 | 9 | 37:33 | 33 |
| სიტარდი | 22 | 10 | 3 | 9 | 31:38 | 33 |
| ბრედა | 22 | 8 | 4 | 10 | 26:27 | 28 |
| სპარტა | 22 | 7 | 6 | 9 | 40:41 | 27 |
| უტრეხტი | 21 | 8 | 3 | 10 | 41:47 | 27 |
| როდა | 22 | 7 | 5 | 10 | 32:30 | 26 |
| ტვენტე | 21 | 6 | 8 | 7 | 23:24 | 26 |
| ნაიმეგენი | 22 | 8 | 1 | 13 | 24:43 | 25 |
| გრააფსხაპი | 22 | 5 | 7 | 10 | 28:27 | 22 |
| გრონინგენი | 22 | 5 | 7 | 10 | 28:38 | 22 |
| მაასტრიხტი | 22 | 6 | 3 | 13 | 20:49 | 21 |
| ვალვაიკი | 21 | 4 | 6 | 11 | 26:46 | 18 |
| ვოლენდამი | 22 | 2 | 5 | 15 | 15:60 | 11 |

## ინგლისი

XXVI ტური

### ევერტონი 1:2 დერბი

0:1 შტიმაცი (21), 0:2 ვენჩოპი (50), 1:2 ტომსენი (85)

### შეფილდი 3:3 ლივერპული

1:0 კარბონე (7), 1:1 ოუენი (27), 2:1 დი კანიო (63), 3:1 პინჩკლიფი (69), 3:2, 3:3 ოუენი (73, 78)

### ტოტენჰემი 1:1 ლესტერი

0:1 კოტი (34), 1:1 კალდერვუდი (51)

მიუხედავად იმისა, რომ „ლივერპული“ თასის გათამაშებაში არ მონაწილეობს, პრესის ყურადღება მაინც ამ გუნდის ყმაწვილკაცი ვარსკვლავის მაიკლ ოუენისადმია მიპყრობილი, რომელიც დღითი დღე უფრო და უფრო მეტად კაშკაშებს. ახლაც, კვირის ბოლოს, „ჰილსბროზე“ მისი თამაში საყოველთაო განსჯის საგნად იქცა.

„ლივერპული“ ორჯერ აგებდა, მაგრამ მარცხს მაინც დაუძვრა, ამაში კი უდიდესი როლი ოუენს ეკუთვნის — 18 წლის ბიჭის პირველმა ჰეთ თრიქმა და ამასთან ერთად ბრწყინვალე თამაშმა კიდევ ერთხელ გააოცა გულშემატკივრები, „შეფილდ უენსდეის“ კი თითქოსდა განაღდებული სამი ქულა აართვა.

— „ლაციოში“ სინიორისთან ერთად ვთამაშობდი. „ბეპე“ ბრწყინვალე მოთამაშეა, მაგრამ მე მაინც ოუენს ვამჯობინებდი. კარიერაში უამრავ ძლიერ თავდამსხმელთან შევწყვილებივარ, მაგრამ ოუენისთანა არავინ მინახავს.

ეს სიტყვები გერმანელ კარლ ჰაინც რიდლეს ეკუთვნის, რომლის ორმა გოლმა გაზაფხულზე დორტმუნდის „ბორუსიას“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. მისი „ლივერპულში“ გადაბარგება ბევრმა ფაულერ — რიდლეს ტანდემის შექმნად აღიქვა, მარამ ასე არ მოხდა. საქმეში ოუენი ჩაერია და გერმანელსაც განზე გადგომა მოუწია. გუშინ როი ევანსმა რიდლე შეცვლაზე ათამაშა. ექსბორუსიელის დარად საკმოხნიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ ჩეხი პატრიკ ბერგერი და სტივ მაკმანამანი. სხვათა შორის, რიდლე შეფილდში თამაშის შემდეგ ოუენის ფანკლუბში ჩაეწერა.

სამი გოლის ავტორის ძლიერი თამაში და, ცხადია, გოლებიც, არც მეტოქეთა მწვრთნელ რონ ატკინსონს გამორჩენია:

— შესვენებაზე რამდენიმე ცვლილება გავაკეთე, მინდოდა უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ოუენმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. იგი უდავოდ ღირსია ნაკრებში თამაშისა და თან მარტო ამხანაგურ მატჩებში კი არა, მსოფლიოს ჩემპიონატზეც.

ასეა თუ ისე, თავდამსხმელის კარიერაში პირველმა ჰეთ თრიქმა (ცხადია, დიდებში, თორემ ჭაბუკთა ჩემპიონატებში მას ერთ თამაშში სამი კი არა, ხუთ-ხუთი გოლიც გაუტანია — მ.ფ.) ოუენის პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა და მიუხედავად რამდენიმე დღის წინ ნაკრებში არცთუ იღბლიანი დებიუტისა, კიდევ ერთხელ მიიპყრო ინგლისელთა უპირველესი გუნდის მწვრთნელის ყურადღება.

**მიხ ფილიპსი, როიტერი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 25 | 15 | 5 | 5 | 52:19 | 50 |
| ლივერპული | 26 | 13 | 7 | 6 | 44:25 | 46 |
| ჩელსი | 25 | 14 | 3 | 8 | 52:27 | 45 |
| ბლექბერნი | 25 | 12 | 9 | 4 | 44:27 | 45 |
| არსენალი | 24 | 12 | 8 | 4 | 44:26 | 44 |
| დერბი | 26 | 12 | 6 | 8 | 41:32 | 42 |
| ლიდსი | 25 | 11 | 5 | 9 | 34:28 | 38 |
| ვესტ ჰემი | 25 | 12 | 2 | 11 | 37:35 | 38 |
| ლესტერი | 26 | 9 | 10 | 7 | 29:23 | 37 |
| ნიუკასლი | 25 | 9 | 5 | 11 | 25:30 | 32 |
| საუთჰემპტონი | 25 | 9 | 4 | 12 | 29:35 | 31 |
| შეფილდ უენ | 26 | 8 | 7 | 11 | 40:51 | 31 |
| ქოვენთრი | 25 | 7 | 9 | 9 | 29:34 | 30 |
| ასტონ ვილა | 25 | 8 | 6 | 11 | 27:34 | 30 |
| უიმბლდონი | 24 | 7 | 8 | 9 | 25:27 | 29 |
| ევერტონი | 26 | 7 | 7 | 12 | 31:39 | 28 |
| ტოტენჰემი | 26 | 7 | 6 | 13 | 25:42 | 27 |
| კრ. პალასი | 25 | 5 | 8 | 12 | 21:37 | 23 |
| ბოლტონი | 25 | 4 | 11 | 10 | 22:41 | 23 |
| ბარნსლი | 25 | 6 | 4 | 15 | 22:61 | 22 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კევინ გალაჰერი (ბლექბერნი) | 14 |
| კრის სატონი (ბლექბერნი) | 14 |
| ჯონ ჰარტსონი (ვესტ ჰემი) | 12 |
| დენის ბერხკამპი (არსენალი) | 12 |
| დიონ დაბლინი (ქოვენთრი) | 12 |
| ენდი კოული (მანჩესტერი) | 12 |
| მაიკლ ოუენი (ლივერპული) | 12 |

### პირველი დივიზიონი

ქრიუ — პორტსმუთი 3:1, იფსვიჩი — ჰადერსფილდი 5:1, სიტი — ბერი 0:1, მიდლსბრო — ბრედფორდი 1:0, პორტ ვეილი — ნორვიჩი 2:2, სტოკპორტი — სტოკ სიტი 1:0, ვესტ ბრომვიჩი — ქუინზ პარკი 1:1.



ოუენის პირველი პრემიერლიგური ჰეთ თრიკი — ეს ბიჭი შეიძლება ბომბარდირიც გახდეს

# პატარა ბარნსლი

**თასის გათამაშების მეხუთე წრე**

### შეფილდი 1:0 რედინგი

1:0 სენდფორდი (87)

### უიმბლდონი 1:1 ვულვერჰემპტონი

1:0 იუელი (14), 1:1 პაატელაინენი (67)

### ვესტ ჰემი 2:2 ბლექბერნი

0:1 გალაჰერი (3), 1:1 კიტსონი (28), 2:1 ბერკოვიჩი (44), 2:2 სატონი (62)

### ნიუკასლი 1:0 ტრანმერი

1:0 შირერი (22)

### ლიდსი 3:2 ბირმინგემი

1:0 უოლესი (5), 2:0 ჯიმი (28), 2:1 აბლიტი (63), 2:2 ნდლოვუ (87), 3:2 ჯიმი (87)

### ასტონ ვილა 0:1 ქოვენთრი

0:1 მოლდოვანი (72)

### არსენალი 0:0 კრ. პალასი

### მანჩესტერი 1:1 ბარნსლი

0:1 ჯონ ჰენდრი (38), 1:1 შერინგემი (42)

საოცარი რამაა თასის გათამაშება. ეტაპი ისე არ ჩაივლის, სენსაცია არ მოხდეს, რომელიმე პატარა, უსახელო, მაგრამ ლიდერთა დასანგრევად შემართულმა გუნდმა გაცილებით სახელოვან მეტოქეს არ სძლიოს, ანაც საქმე არ გაუჭიანუროს.

ახლაც ასე მოხდა. ვინ იფიქრებდა, რომ „ბარნსლი“, რომელიც პრემიერლიგის პირველ წრეში, „ოლდ ტრეფორდზე“ 0:7 განადგურდა, თასის გათამაშების მეოთხედფინალში გასვლაში დიდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეუშლიდა ხელს? ამას ვერავინ წარმოიდგენდა, რადგან მანჩესტერელთა სახელი თასების, ჩემპიონობის, სიძლიერის ასოციაციას იწვევს, „ბარნსლისა“ კი — სიღატაკისა და მარცხის. ასეა თუ ისე, მოულოდნელობა მოხდა.

თამაშის მოსაგებად რომ მხოლოდ სახელი არ კმარა, გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა — მასპინძელთა გულშემატკივრები კვლავ გოლების წვიმას ელოდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ამის მთავარი მიზეზი კი სტუმართა საუცხოოდ მოთამაშე მეკარე დევიდ უოტსონია. მართალია, მან ერთი გოლი გაუშვა (ისე, შერინგემის ამ დარტყმულს უოტსონი კი არა, გაცილებით ძლიერი გოლკიპერებიც ვერ მოიგერიებდნენ), მაგრამ ისე გაისარჯა, თვით გამოცდილი მეტოქე და კოლეგა პეტერ შმაიხელიც დაჩრდილა.

...39-ე წუთზე შმაიხელი ძლიერ შეცდა — გარი პალისტერმა ბურთი კი დაუბრუნა, მაგრამ ევროპის 1992 წლის ჩემპიონმა ისეთ სიტუაციაში შესცოდა, ახალბედებსაც რომ არ ეკადრებათ. ჯონ ჰენდრის ისღა დარჩენოდა, გაეტანა. თუმცა, მხოლოდ ოთხი წუთი იყვნენ წინ, მერე კი მანჩესტერელთა უნიჭიერესმა უელსელმა ნახევარმცველმა რაიან გიგზმა ტედი შერინგემი მახვილგონივრული პასით მოძებნა და მოსახდენი მოხდა.

დარჩენილ დროში არაერთი მომენტი შეიქმნა ბრაზილიელთა კართან, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, მეკარემ იყოჩაღა და ახლა ქვეყნის ჩემპიონებს მეოთხედფინალში გასვლისთვის ხელახლა მოუწევთ „ბარნსლისთან“ ბრძოლა.

გუშინ კიდევ ერთი მერვედფინალური მატჩი გაიმართა, რომელიც ასევე ფრედ დამთავრდა — „არსენალმა“ ძიხ თანაქალაქელი „კრისტალ პალასი“ ვერ სძლია. ისე, მსაჯმა მეტოქეთა კარში ორი აშკარა პენალტი არ დანიშნა. ერთხელ მასპინძელთა მეკარემ იუხეშა, მეორედ კი სტუმართა მცველმა.

„არსენალიც“ შემდეგ წრეში გასასვლელად ხელახლა შეებრძოლება „კრისტალ პალასს“, ოღონდ ახლა უკვე მეტოქის მოედანზე, იქ, სადაც „კრისტალ პალასს“ 12 მატჩი არ მოუგია.

შირერმა „ნიუკასლი“ კვლავ იხსნა — ალესანდრო პისტონეს საჯარიმოსკენ ჩაწოდებულ ბურთს მან უძლიერესად დასცხო თავი და გამარჯვების მომტანი გოლი შეაგდო. „ნიუკასლი“ თასის გათამაშების მეექვსე წრეში, იგივე მეოთხედფინალში გავიდა.

„ქოვენთრიც“ შემდეგ წრეშია. რუმინელი ვიორელ მოლდოვანის გოლმა კლუბი ბირმინგემში ამარჯვა, სადაც „ქოვენთრის“ ჩემპიონატის და თასის 27 მატჩში არ მოეგო. სხვათა შორის, „ქოვენთრიმ“, საქართველოს ნაკრების კარში ცხრა წუთის განმავლობაში სამი გოლის გამტანი მოლდოვანი დეკემბერში 5,2 მილიონ დოლარად შეიძინა შვეიცარიული „გრასჰოპერიდან“.

და მაინც, თასის ამ ეტაპის შაბათის შეხვედრებიდან ყველაზე უფრო პრინციპული „ვესტ ჰემსა“ და „ბლექბერნს“ შორის გამართული მატჩი გამოდგა.

მართალია შოტლანდიელმა კევინ გალაჰერმა „ბლექბერნი“ დააწინაურა, მაგრამ მოგვიანებით თავდამსხმელს მსაჯმა მოუსპო გოლის გატანის შანსი — ეილ ბერკოვიჩთან უხეშობისთვის გალაჰერმა მინდორი დროზე ადრე დატოვა. მიუხედავად კაცნაკლულობისა, „ბლექბერნმა“ თავი არ დაზოგა და გადათამაშებას მიაღწია.

ფრედ დასრულებულ შეხვედრებში გამარჯვებულის გამოსავლენი მატჩები 25 თებერვალს გაიმართება.

გუშინ თასის მეოთხედფინალის კენჭისყრა გაიმართა: კრისტალ პალასი ან არსენალი — ვესტ ჰემი ან ბლექბერნი, ქოვენთრი — შეფილდ იუნაიტედი, ლიდსი — უიმბლდონი ან ვულვერჰემპტონი, ნიუკასლი — ბარნსლი ან მანჩესტერ იუნაიტედი.

## იტალია

XXI ტური

### ატალანტა 1:0 ნაპოლი

1:0 ლუკარელი (16)

### ბარი 0:2 ლაციო

0:1 იუგოვიჩი (103), ფავალი (89)

### ემპოლი 1:1 ფიორენტინა

0:1 ოლივეირა (51), 1:1 კ. ესპოზიტო (70)

### ინტერი 5:0 ლეჩე

1:0 რონალდო (16), 2:0 მილანეზე (27), 3:0 კოე (39), 4:0, 5:0 რონალდო (703, 76)

### იუვენტუსი 3:0 სამპდორია

1:0 დელ პიერო (5), 2:0 ინძაგი (12), 3:0 ფონსეკა (77)

### პიაჩენცა 0:0 ბრეშა

### რომა 2:1 ბოლონია

1:0 დი ფრანჩესკო (4), 1:1 კოლივანოვი (9), 2:1 დელვეკიო (88)

### უდინეზე 1:1 პარმა

0:1 კრესპო (32), 1:1 ბირჰოფი (79)

### ვიჩენცა 1:4 მილანი

0:1 კლუივერტი (3), 0:2 განცი (7), 1:2 ოტერო (54), 1:3 მანიერო (71), 1:4 კლუივერტი (83)

ყურადღების ცენტრში როგორც ყოველთვის ახლაც რონალდო იყო ადრე ამბობდნენ ბრაზილიელს კრიზისი უდგასო, ახლა ამბობენ ბრაზილიელი კრიზისიდან გამოვიდაო. დიახ, ბრაზილიელმა „ინტერის“ მიერ „ლეჩეს“ 5:0 განადგურებაში სამგოლიანი წვლილი შეიტანა. იანვარში, ექვს შეხვედრაში უგოლოდ დარჩენილმა გუშინ მე-16 წუთზე იყოჩაღა პირველად. მეორე ტაიმის შუაში ვარსკვლავბიჭუნამ „ლეჩეს“ საჯარიმოში მცველთა ხელით თამაშის გამო დანიშნული თერთმეტმეტრიანი შეასრულა ზუსტად, 76-ზე კი თავისი მესამე და „ინტერის“ იმდღევანდელი მეხუთე გაიტანა.

იმ ორი გოლიდან, რომლებიც რონალდოს არ გაუტანია, ერთი, მაურო მილანეზესი მისი პასით შევარდა „ლეჩეს“ კარში, მეორე კი ფრანგმა ბენოი კოემ გაიტანა. სხვათა შორის, მილანეზესთვის ეს, რონალდოს პასით გატანილი გოლი „ინტერის“ შემადგენლობაში პირველი გახლდათ. შეგახსენებთ, რომ მილანეზე მილანის გუნდში ერთი თვის წინ „პარმიდან“ გადავიდა.

საინტერესოა, რომ ლუიჯი სიმონის გუნდმა ამ სეზონში „საბრალო“ „ლეჩეს“ 10 გოლი გაუტანა. პირველ წრეში „ინტერმა“ 5:1 მოუგო სუსტ მეტოქეს. მაშინ რონალდომ ორჯერ შეაგდო.

„ლაციომ“ ბარიში 2:0 გაიმარჯვა და წაუგებელ შეხვედრათა რაოდენობა 13-მდე გაზარდა. ბოლოს რომაელებმა 6 დეკემბერს იწვნიეს მარცხი.

სტუმართაგან ანგარიში იუგოსლაველმა ვლადიმირ იუგოვიჩმა გახსნა. მან მარკო გოტარდის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით შეაგდო ბურთი მეტოქის კარში, შეხვედრის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე კი მცველმა ჯუზეპე ფავალიმ მეორედ გაახარა თანაგუნდელები. შეხვედრა „ლაციოს“ მეორე გოლის შემდეგ ორი წუთით შეწყდა, რადგან „ბარის“ მავანი ტიფოზი მოედანზე გავარდა და მსაჯის მიბეგვას ლამობდა. ანერვიულებული ბარელი მოედნიდან პოლიციამ გაიყვანა.

„უდინეზე“ „პარმასთან“ აგებდა, მაგრამ ოლივერ ბირჰოფის სეზონის მე-17 გოლით ქულა გადაარჩინა. „პარმა“ თამაშის უმეტესი დროის განმავლობაში კაცნაკლული თამაშობდა, რადგან მისი ფრანგი მცველი ლილიან ტურამი შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე მეორე ყვითლის მიღებისთვის გააძევეს მოედნიდან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 21 | 14 | 6 | 1 | 48:16 | 48 |
| ინტერი | 21 | 13 | 5 | 3 | 39:17 | 44 |
| ლაციო | 21 | 12 | 5 | 4 | 37:17 | 41 |
| უდინეზე | 21 | 11 | 6 | 4 | 40:27 | 39 |
| ფიორენტინა | 21 | 9 | 8 | 4 | 40:22 | 35 |
| პარმა | 21 | 9 | 8 | 4 | 34:21 | 35 |
| რომა | 21 | 9 | 8 | 4 | 37:26 | 35 |
| სამპდორია | 21 | 9 | 7 | 5 | 39:35 | 34 |
| მილანი | 21 | 8 | 7 | 6 | 26:21 | 31 |
| ბოლონია | 21 | 5 | 8 | 8 | 29:32 | 23 |
| ვიჩენცა | 21 | 6 | 5 | 10 | 22:41 | 23 |
| ბრეშა | 21 | 6 | 4 | 11 | 26:32 | 22 |
| ბარი | 21 | 6 | 4 | 11 | 18:31 | 22 |
| ემპოლი | 21 | 5 | 5 | 11 | 32:38 | 20 |
| პიაჩენცა | 21 | 3 | 11 | 7 | 16:24 | 20 |
| ატალანტა | 21 | 4 | 7 | 10 | 17:31 | 19 |
| ლეჩე | 21 | 3 | 2 | 16 | 14:50 | 11 |
| ნაპოლი | 21 | 2 | 4 | 15 | 15:48 | 10 |

### სერია B

22-ე ტური. რავენა — რეჯანა 2:3; დი სანგრო — კალიარი 0:3; ფოჯა — ტორინო 0:3; ჯენოა — ანკონა 2:1; ლუკეზე — პერუჯა 0:0; პესკარა — ფ.ანრია 0:2; სალერნიტანა — კოვეო 2:3; ტრევიზო — რეჯინა 2:0; ვენეცია — მონცა 4:2; ვერონა — პადოვა 5:1

## ესპანეთი

XXV ტური

### კომპოსტელა 1:1 ესპანიოლი

1:0 პენევი (25), 1:1 გალკა (70)

### სარაგოსა 3:1 ბეტისი

1:0 აგუადო (14), 1:1 ალფონსო (18), 2:1 გონსალესი (59), 3:1 გარიტანო (833)

### მერიდა 2:1 ატლეტიკო

1:0 სინვალი (50), 1:1 ვიერი (70), 2:1 სინვალი (90)

### ოვიედო 2:0 სალამანკა

1:0 ხუან გონსალესი (14), 2:0 პომპეი (90)

### სელტა 2:1 სოსიედადი

1:0 ჯოროვიჩი (14), 1:1 გრასია (43), 2:1 რევივო (87)

### ბილბაო 0:3 ვალენსია

0:1, 0:2 ილიე (30, 57), 0:3 მენდიეტა (75)

### ვალიადოლიდი 1:0 დეპორტივო

1:0 პეტერნაჩი (52)

### რეალი 3:0 სპორტინგი

1:0 სავიო (55), 2:0, 3:0 შუკერი (61, 683)

### რასინგი 2:1 ტენერიფე

0:1 პინილია (14), 1:1 ალბერტო ლოპესი (50), 2:1 კორეა (62)

### ბარსელონა 0:0 მალიორკა

ესპანეთის ჩემპიონი, მადრიდის „რეალი“ ცხრილის სათავეში დაბრუნდა. გუშინ მან ხიხონის „სპორტინგს“ 3:0 მოუგო, მისმა უმთავრესმა მოწინააღმდეგემ, „ბარსელონამ“ კი მშობლიურ „კამპ ნოუზე“ „მალიორკასთან“ 0:0 ითამაშა.

ვერ განხორციელდა „სპორტინგის“ ჩანაფიქრი. ვწერდით კიდეც, წინა ტურში, ოცდამეოთხე ცდისას ძლივს რომ გაიმარჯვა, მადაზე მოვიდა და დაიქადნა ბარემ „რეალს“ „სანტიაგო ბერნაბეუზეც“ მოვუგებო, მაგრამ მეორე ტაიმის მეათე წუთზე მადრიდელთა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა სავიომ მოწინააღმდეგის მცველთა ყურადღების მოდუნებით ისარგებლა და თაურით გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ხიხონელები გატყდნენ, რითაც ხორვატმა დავორ შუკერმა ისარგებლა და სავიოს დაწყებულ საქმეს ზედაც ორი გოლი დაამატა.

გამარჯვების მიუხედავად „რეალის“ გერმანელი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი ბედნიერი არ ჩანდა: — გაცილებით მეტად მოწესრიგებული ფეხბურთის თამაში გვჭირდება. გოლებმა ისეთი შთაბეჭდილება შექმნა თითქოს კარგად ვთამაშობდით, მაგრამ „სპორტინგზე“ უმჯობეს გუნდებთან ასეთი თამაშით გამარჯვების მიღწევა გაგვიჭირდება.

ამ შეხვედრაში ესპანეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, მცველმა მანუელ სანჩისმა „რეალის“ შემადგენლობაში თავისი 461-ე შეხვედრა ჩაატარა და კლუბის რეკორდსმენს კარლოს სანტილიანას გაუტოლდა.

„მალიორკამ“ მიმდინარე სეზონში მართალია შემტევი გუნდის სახელი დაიგდო, მაგრამ „კამპ ნოუზე“ უპირატესად მწყობრი დაცვით მიიქცია ყურადღება.

— მოწინააღმდეგემ ჩინებულად დაიცვა თავი, ჩვენ კი ბევრი საგოლე მდგომარეობა ვერ შევქმენით, სულ ხუთი თუ ექვსი გვქონდა. ფაქტია, გოლი ვერ გავიტანეთ, ლოგიკა კი ასეთია, თუ ვერ გაიტან ქულებს ვერ დააგროვებ — თქვა მატჩის შემდეგ „ბარსელონას“ გაწბილებულმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 25 | 13 | 8 | 4 | 44:26 | 47 |
| ბარსელონა | 24 | 14 | 4 | 6 | 50:35 | 46 |
| სოსიედადი | 25 | 11 | 10 | 4 | 39:22 | 43 |
| ატლეტიკო | 25 | 11 | 8 | 6 | 52:32 | 41 |
| სელტა | 25 | 12 | 5 | 8 | 35:29 | 41 |
| ბილბაო | 25 | 10 | 10 | 5 | 32:28 | 40 |
| მალიორკა | 25 | 10 | 9 | 6 | 36:21 | 39 |
| ბეტისი | 23 | 10 | 7 | 6 | 31:29 | 37 |
| ესპანიოლი | 25 | 8 | 11 | 6 | 29:18 | 35 |
| სარაგოსა | 25 | 9 | 8 | 8 | 35:41 | 35 |
| ვალენსია | 25 | 10 | 4 | 11 | 37:32 | 34 |
| ოვიედო | 25 | 7 | 11 | 7 | 26:30 | 32 |
| დეპორტივო | 25 | 6 | 12 | 7 | 26:27 | 30 |
| რასინგი | 25 | 8 | 6 | 11 | 28:35 | 30 |
| ვალიადოლიდი | 24 | 8 | 5 | 11 | 22:34 | 29 |
| მერიდა | 25 | 7 | 7 | 11 | 24:36 | 28 |
| კომპოსტელა | 25 | 6 | 9 | 10 | 33:42 | 27 |
| ტენერიფე | 25 | 6 | 7 | 12 | 26:41 | 25 |
| სალამანკა | 25 | 6 | 6 | 13 | 18:29 | 24 |
| სპორტინგი | 25 | 1 | 3 | 21 | [illegible] | 6 |

### მეორე დივიზიონი

27-ე ტური. ნუმანსია — ტოლედო 1:0; ვილიარეალი — ალბასეტე 1:0; რაიო — ეიბარი 0:1; ლევანტე — ორენსე 1:0; ალავესი — ხაენი 1:0; ატლეტიკო — ელჩე 3:0; ლოგრონიესი — ბადახოსი 2:1; ოსასუნა — ლეიდა 0:1; ერკულესი — ლას პალმასი 4:0; ლეგანესი — სერესი — 1:1; სევილია — ექსტრემადურა 3:1

## გერმანია

XXIII ტური

**კარლსრუე 0:1 დორტმუნდი**
0:1 ჰერლიხი (43)

**ვერდერი 2:2 დუისბურგი**
1:0 აილტსი (5), 1:1 სკრიპნიკი (54 ს.კ.), 1:2 შპისი (80), 2:2 ტოდტი (82)

**კიოლნი 1:2 ჰამბურგი**
0:1 სალიჰამიჯიჩი (64), 0:2 ჰოლერბახი (80), 1:2 ტრეტშოკი (87)

**შალკე 1:1 ვოლფსბურგი**
1:0 ვილმოტსი (12), 1:1 პრეგერი (37)

**შტუტგარტი 0:1 კაიზერი**
0:1 ხრისტოვი (81)

**მიუნხენი 3:4 ლევერკუზენი**
1:0 ჰობში (12), 1:1 კირსტენი (59), 2:1, 3:1 აგოსტინო (69, 71), 3:2 ჰაპე (74), 3:3, 3:4 რინკი (76, 83)

**ჰანზა 2:1 არმინია**
1:0 ბარბარესი, 1:1 მაისნერი (72), 2:1 პამიჩი (84)

**ჰერთა 2:1 ბაიერნი**
1:0 პრეეტცი (18), 2:0 კოვიჩი (70), 2:1 პრეეტცი (83 ს.კ.)

**ბოხუმი 3:1 გლადბახი**
0:1 პეტერსონი (28), 1:1 დიკჰაუტი (45), 2:1 ანდერსონი (48ს.კ.), 3:1 პეშელი (75)

ბუნდესლიგის გასრულებამდე თერთმეტი ტური დარჩა, მაგრამ გამორიცხული არაა, ჩემპიონი ფინიშამდე გაირკვეს. მეტიც, გუშინწინდელმა ტურმა ლიდერთა შორის სხვაობა და „კაიზერსლაუტერნის" ჩემპიონობის შანსი გაზარდა. დარჩენილ მატჩებში „კაიზერსა" და „ბაიერნს" შვიდი საზიარო მოწინააღმდეგე ჰყავთ. თუმცა, თუ ამათ ერთნაირად სტუმარ-მასპინძლობენ მიუნხენელებს დამატებით „შალკესთან" და „შტუტგარტთანაცა" აქვთ გასვლაზე სათამაშო.

„კაიზერმა" „შტუტგარტი" უკვე მოილია და მოინელა. შაბათს „წითელმა ეშმაკებმა" ბულგარელი მარიან ხრისტოვის ერთადერთი გოლით სძლიეს გერმანიის თასის მფლობელს. სტუმრები 81-ე წუთზე დაწინაურდნენ და ბოლომდეც გაძლეს. თუმცა ამას უფრო მეკარე რაინკეს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც ბობიჩისა და შნაიდერის დარტყმები მოიგერია.

კვლავ მოიგო წინა ტურში „შტუტგარტის" მძლეველმა „დორტმუნდმა", ამჯერად კარლსრუეში, ჰაიკო ჰერლიხის ერთადერთი გოლით. სამაგიეროდ, „კაიზერთან" წაგება „შტუტგარტისთვის" ზედიზედ მეორე იყო. გერმანიის თასის მფლობელს ბოლო ორ ტურში ძლიერი მეტოქეები კი ერგო, მაგრამ რომ არა მსაჯთა და ბედის უმოწყალობა სულ მშრალზე არ დარჩებოდა.

თუკი ოტო რეჰაგელის ახლანდელმა გუნდმა ერთობ სერიოზული მეტოქის წნეხს გაუძლო, „კაიზერის" დამრიგებლის ძველმა გუნდმა, „ბაიერნმა", ბერლინური გამოცდა ვერ ჩააბარა. არადა, ტრაპატონის არმია, რომელიც, მისი თქმით, თავის გზაზე ყველაფერს ველარ თელავს, სერიოზული ხიფათის წინაშე უკვე მეთვრამეტე წუთზე დადგა. ბერლინელებს მტკიცედ სწამთ, რომ ამ დიდ ქალაქს დიდი გუნდიც მალე ეღირსება და საფუძველს სადებიუტო წელსვე მყარად დებენ. შაბათს „ჰერტას" საჯილდაო ქვად შარშანდელი ჩემპიონი, უბრალოდ რომ ვთქვათ, „ბაიერნი" ერგო და თავიც არ შეირცხვინა.

პირველი გოლისას ბურთს კაპიტანი მიხაელ პრეეტცი ისე სწრაფად შეჰყვა, მეურვე ჰელმერმა თვალიც ძლივს მიადევნა, მეკარე ოლივერ კანმა კი თავდამსხმელიცა და ბურთიც კარგად დაინაცა, მაგრამ მაინც ფეხებშუა გაუვიდა. თამაშის გასრულებამდე ოცი წუთით ადრე ანტე კოვიჩმა გაამწარა კანი. მიუნხენელები შოკში აღმოჩნდნენ, შოლი და ბასლერი ამაოდ ცდილობდნენ თამაშის ხსნას. თითქოსდა, მხსნელად სტუმრებს მეტოქის კაპიტანი პრეეტცი მოევლინათ, რომელმაც ბასლერის კუთხური ავტოგოლად გარდასახა. ბერლინელი ცოტა ხნით ადრე მეტოქესთან შეჯახებით, ეტყობა, ისე დარეტიანდა, რომ დასისხლიანებულმა ბურთი მოგერიების ნაცვლად საკუთარ კარში ჩაჭედა. ამის მიუხედავადაც დარჩენილ ათ წუთში „ბაიერნმა" ვერა გააწყო, მიუნ-

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ულფ კირსტენი (ლევერკუზენი) | 17 |
| ოლაფ მარშალი (კაიზერი) | 13 |
| ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი) | 12 |
| როი პრეგერი (ვოლფსბურგი) | 12 |
| კარსტენ იანკერი (ბაიერნი) | 11 |
| ბერნჰარდ ვინკლერი (მიუნხენი) | 10 |
| ბალაკოვი (შტუტგარტი) | 10 |

# კაიზერი კაიზერის წინააღმდეგ

ხენელებს ვერც ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ შემატებული ლიზარაზუ შეეშველათ.

საინტერესოა „კაიზერის", „ბაიერნის", „შალკეს", დორტმუნდისა" თუ „შტუტგარტის" მატჩის ნახვა, მაგრამ თუ სრულყოფილი ფეხბურთი და ფეხბურთის სრულყოფილების ხილვა გსურთ, ლევერკუზენის „ბაიერს" უნდა ადევნოთ თვალი. ამ გუნდს შეუძლია აგებდეს, თუნდაც ორი ბურთით და საბოლოოდ კარგ ხასიათზე დატოვოს მინდორი. ასე მოიქცა ათკაციანი „ბაიერი" ასოს ჩაგდებით მოსახელესთან, 0:2 4:2-ად რომ გარდაუსახა.

ჩვენი ჩემპიონის ამასწინდელი მეტოქე გუშინწინაც აგებდა. ერთ მომენტში ორი ბურთითაც, მაგრამ მიუნხენიდან შინ გამარჯვებული გაბრუნდა. „მიუნხენმა" უკვე მე-12 წუთზე გაიხარა ჰობშის გოლით და ამას კირსტენმა მეორე ტაიმის დასაწყისში კი უპასუხა, მაგრამ ამაოდ. შეცვლაზე შესულმა მასპინძელმა პოლ აგოსტინომ სამ წუთში დუბლი გააკეთა. ამან განარისხა თუ რა, „წითელმა ლომმა" დაიგრვგინა და ჯერ ჰაპეს გოლით გაქვითა, მერე კი ბრაზილიელ პაულუ რინკის დუბლით იხარა. ორჯერ ლევერკუზენმა მეტოქე წინ ნოვოტნის შეცდომით გაუშვა, თუმცა 1:0-ზე ამან ცარიელი კარიც გადაარჩინა. მასპინძელთა ორი გოლის თანაავტორი მეკარე ბერნდ მაიერიც გახლდათ, რომელმაც მეტოქის საჯარიმოს აწვდინა პირველი ბურთი.



რინკმა „ლევერკუზენს" სირცხვილი აცილა

მოულოდნელად წაიფორხილა „შალკემ". საშინაო ფრე „ვოლფსბურგთან" იმ გუნდისგანაა გასაკვირი, რომელმაც უეფას თასი უთავდამსხმელებოდ აიღო. ისე კი, ვინც წინა ტურში ვოლფსბურგელი როი პრეგერის დიდებული გოლი იხილა „კიოლნთან", არ გაიოცებდა მისგან გელზენკირხენელთა გამწარებას. პრეგერი, ეტყობა, მატჩიდან მატჩამდე ხვეწს აბრაგანის ხელოვნებას და „შალკეს" ვილმოტსის საბილიარდო გოლსაც ასე უპასუხა. თამაშის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე „ვოლფსბურგის" დანიელმა მცველმა იან იენსენმა აიკელკამპის მაისურის სიმტკიცე შეამოწმა. ამისთვის მსაჯმა კიდეც გააძევა, მაგრამ „შალკემ" ვერც ამ უპირატესობით ისარგებლა.

გასავარდნთა შორის დიდი ბრძოლაა. აგერ, „ვერდერი" შინ „დუისბურგს" დაუზავდა, „ჰამბურგმა" სულაც კიოლნში მოიგო, მაგრამ ყველაზე საინტერესო „ბოხუმ" — „გლადბახის" შებმა გამოდგა, თუნდაც იმიტომ, რომ მიონხენგლადბახელებს კაპიტანი შტეფან ეფენბერგი დაუბრუნდათ. ეფენბერგის გონივრულმა პასებმა და აქტიურობამ სტუმრები დააწინაურა — შვედმა იორგენ პეტერსონმა კაპიტნის თაური გადაცემა გოლად აქცია. ტაიმის მიწურულს კლაუს ტოპმიოლერს „აინტრახტიდან" გამოყოლილმა მირკო დიკჰაუტმა პეშელის ჩაწოდებიდან გაათანაბრა. რასაც მეორე ტაიმის დასაწყისში პეშელისვე დარტყმა მოჰყვა, პატრიკ ანდერსონისგან ასხლეტილი უვე კამპსის კარში რომ შევარდა. თამაშის ბოლომდე 15 წუთით ადრე კვლავ პეტერ პეშელმა ივარგა და წერტილიც დასვა.

გასავარდნად „გლადბახიც" ცოდოა, მაგრამ „ბოხუმს" შაბათს რომ არ მოეგო, უსამართლობაც იქნებოდა და საცოდაობაც. „აიაქსთან" უეფას თასის მერვედფინალში „ბოხუმმა" ისეთი ფეხბურთი აჩვენა, ეს გუნდი ბუნდესლიგის ცხრილის ფსკერზე არ უნდა იძირებოდეს. ასეთი ლოგიკით, იქნებ არც „კაიზერი" უნდა დრეიფობდეს ცხრილის ზედაპირზე, მაგრამ ასე კია.

**ვახტანგ ბზიძაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 23 | 16 | 4 | 3 | 47:26 | 52 |
| ბაიერნი | 23 | 14 | 5 | 4 | 49:27 | 47 |
| ლევერკუზენი | 23 | 11 | 8 | 4 | 49:28 | 41 |
| შალკე | 23 | 9 | 10 | 4 | 26:20 | 37 |
| შტუტგარტი | 23 | 10 | 6 | 7 | 42:33 | 36 |
| ჰანზა | 23 | 10 | 4 | 9 | 35:30 | 34 |
| დუისბურგი | 23 | 9 | 6 | 8 | 29:28 | 33 |
| ჰერტა | 23 | 9 | 5 | 9 | 29:35 | 32 |
| ვერდერი | 23 | 9 | 5 | 9 | 29:37 | 32 |
| დორტმუნდი | 23 | 8 | 7 | 8 | 38:33 | 31 |
| ვოლფსბურგი | 23 | 8 | 5 | 10 | 29:33 | 29 |
| ბოხუმი | 23 | 7 | 5 | 11 | 28:37 | 26 |
| კარლსრუე | 23 | 6 | 7 | 10 | 33:41 | 25 |
| ჰამბურგი | 23 | 6 | 6 | 11 | 28:37 | 24 |
| კიოლნი | 23 | 7 | 3 | 13 | 37:50 | 24 |
| არმინია | 23 | 7 | 2 | 14 | 28:37 | 23 |
| გლადბახი | 23 | 5 | 7 | 11 | 37:45 | 22 |
| მიუნხენ 1860 | 23 | 5 | 7 | 11 | 26:42 | 22 |

### მეორე ბუნდესლიგა

მე-18 ტური. ზანქტ პაული — ფიურტი 1:0; ცვიკაუ — მეპენი 0:0; ნიურნბერგი — გიუტერსლო 1:0; მაინცი — უნტერ-ჰახინგი 0:0; ფორტუნა — ურდინგენი 0:1; ვატენშაიდი — კარლ ცაისი 2:0; კიკერსი — ლაიფციგი 1:1; კოტბუსი — ფრაიბურგი 2:0; დიუსელდორფი — აინტრახტი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 18 | 11 | 2 | 5 | 34:22 | 35 |
| ურდინგენი | 18 | 9 | 5 | 4 | 20:12 | 32 |
| ნიურნბერგი | 18 | 10 | 2 | 6 | 24:19 | 32 |
| აინტრახტი | 17 | 8 | 6 | 3 | 25:17 | 30 |
| გიუტერსლო | 18 | 7 | 9 | 2 | 20:13 | 30 |
| ზანქტ პაული | 18 | 7 | 6 | 5 | 21:20 | 27 |
| კოტბუსი | 18 | 6 | 8 | 4 | 22:16 | 26 |
| ფიურტი | 18 | 7 | 4 | 7 | 17:19 | 25 |
| უნტერჰახინგი | 18 | 5 | 8 | 5 | 20:14 | 23 |
| მაინცი | 18 | 5 | 8 | 5 | 30:28 | 23 |
| დიუსელდორფი | 17 | 5 | 6 | 6 | 29:27 | 21 |
| ვატენშაიდი | 18 | 5 | 6 | 7 | 20:21 | 21 |
| ფორტუნა | 18 | 5 | 6 | 7 | 23:27 | 21 |
| კიკერსი | 18 | 5 | 5 | 8 | 24:29 | 20 |
| ლაიფციგი | 18 | 5 | 4 | 9 | 18:33 | 19 |
| მეპენი | 18 | 3 | 7 | 8 | 20:27 | 16 |
| კარლ ცაისი | 18 | 4 | 4 | 10 | 19:31 | 16 |
| ცვიკაუ | 18 | 3 | 6 | 9 | 13:24 | 15 |

### ამხანაგური მატჩი

**ავსტრალია 0:3 იაპონია**
0:1 ნაკატა (63), 0:2, 0:3 ჰირანო (65, 70)

მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად მონაწილე იაპონელებმა ადელაიდის „ჰინდმერშის" სტადიონზე მასპინძლებს არანაირი შანსი არ დაუტოვეს. მატჩი მეტოქეებმა 10-10 ფეხბურთელით დაასრულეს, თუმცა ავსტრალიელთაგან განსხვავებით, რომელთაც დე ამისიზი საჯარიმოში ხელით თამაშისთვის მე-6 წუთზე გაუძევეს, ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს იამაგუჩი შეხვედრის მიწურულს დააკლდათ.

ისე, მასპინძელთა ნაკრების კაპიტანმა, მცველმა მილან ივანოვიჩმა საერთაშორისო ფეხბურთიდან წასვლის წინ ეროვნულ გუნდში ბოლო 59-ე მატჩი ითამაშა.

## პორტუგალია

21-ე ტური. ბოავიშტა — სპორტინგი 1:0; გიმარაეში — ბრაგა 1:0; ვარზიმი — კამპომაიორენსე 3:0; მარიტიმუ — სეტუბალი 1:0; სალგეირუში — აკადემიკა 0:1; ბენფიკა — რიუ ავე 2:1; შავეში — ფარენსე 2:2; ბელენენსეში — ამადორა 0:2; პორტუ — ლეცა 3:1

სულ მოედნიდან ოთხი ფეხბურთელი გააძევეს, ამათგან სამი „რიუ ავეს" წევრი გახლდათ. ასეთი თამაში გუშინ პორტუგალიის ჩემპიონატში გაიმართა — ლისაბონში „ბენფიკამ" „რიუ ავესთან" 2:1 გაიმარჯვა. შეხვედრის ხასიათი, ალბათ პირველი წინადადებიდანვე ნათელი გახდა.

ჩემპიონმა, „პორტუმ", დღეისათვის „ბენფიკას" 10 ქულით რომ უსწრებს და

# აყალმაყალი ლისაბონში

ბუნებრივია გათამაშების ცხრილის სათავეშია, ზედიზედ ორ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ აღადგინა წარმატებული სვლა მორიგი ტიტულისკენ. მან იოლად აჯობა „ლეცას" — 3:1.

.. „რიუ ავეს" მიმდინარე სეზონის აღმოჩენა შეარქვეს. მისგან ასეთ გაბედულ თამაშს არავინ ელოდა. „ბენფიკასთან" სტუმრებმა ანგარიში თამაშის დაწყებიდან რვა წუთში, თერთმეტმეტრიანი დარტყმით გახსნეს. პენალტის დანიშვნის მიზეზი ბენფიკელთა ბელგიელი მეკარის, ცნობილი მიშელ პრიუდომის მიერ მეტოქის თავდამსხმელის ჟოაო ბაიკას საჯარიმოში წაქცევა გახლდათ, მაგრამ გამოხდა 20 წუთი და „რიუ ავე" ცხრა მოთამაშით დარჩა მოედანზე. მცველმა ნიტო ვიეირამ ლისაბონელი ჩეხი კარელ პობორსკი დასცა უხეშად, გუნდის კაპიტანმა სერჟიო ჩინამ კი მსაჯს გადაწყვეტილება გაუპროტესტა.

ორი უმეტესი ფეხბურთელით დარჩენილმა მასპინძლებმა 35-ე წუთზე გაათანაბრეს ანგარიში. მათი ბოლივიელი თავდამსხმელი ერვინ სანჩესი აღმოჩნდა ზუსტი. 63-ე წუთზე კი „ბენფიკამ" როგორც იქნა ხელთ იგდო უპირატესობა, ბოლო დროს კარგად ათამაშებულმა თავდამსხმელმა ნუნუ გომეშმა მარცხენა ფრთიდან ლუიშ კარლუშის ჩაწოდებული ბურთი თაურით შეაგდო „რიუ ავეს" კარში.

ამ ამბიდან რვა წუთის შემდეგ სტუმრებს ანგარიშის გაქვითვის იმედი საბოლოოდ გადაეწურათ. მიზეზი მარტივი იყო, მცველმა მარკუს სანტუშმა მეორედ მიიღო ყვითელი ბარათი და „ბენფიკა" სამკაციან უმრავლესობაში დასტოვა. მოგვიანებით მასპინძელთა მცველმა ჟოზე სუარესმა გაიზიარა მეტოქეკოლეგის ბედი.

„პორტუს" ამბავი კი ასე იყო: გუნდის ბრაზილიელმა თავდამსხმელმა არტურ ოლივეირამ მე-14 წუთზე მიიღო რუი ბარუშის პასი და ჩემპიონები დააწინაურა. მეორე გოლი სლოვენიელმა ზლატკო ზაჰოვიჩმა გაიტანა, მაგრამ „ლეცამ" საქართველოს ეროვნული გუნდის მომავალი მეტოქის გოლს, კონსტანტინო ჟარდიმის წარმატებით უპასუხა.

შესვენების შემდეგ ანგარიშს წერტილი მარიო ჟარდელმა დაუსვა, იმან, რომელმაც ბოლო ოთხ თამაშში როგორც იქნა დალაშქრა მოწინააღმდეგის კარი და მიუხედავად ამისა ბრაზილიაში, კერძოდ სან პაულუს „კორინთიანსში" იწვევენ.

თბილისის „დინამოს" ახალმა ნაცნობმა „ბრაგამ" მესამე ადგილზე მყოფ „გიმარაეშთან" 0:1 წააგო.

თბილისის „დინამოს" ძველმა ნაცნობმა „ბოავიშტამ" ლისაბონის „სპორტინგს" 1:0 აჯობა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 21 | 15 | 4 | 2 | 47:22 | 49 |
| ბენფიკა | 21 | 11 | 6 | 4 | 32:19 | 39 |
| გიმარაეში | 21 | 11 | 4 | 6 | 26:14 | 37 |
| რიუ ავე | 21 | 9 | 6 | 6 | 28:24 | 33 |
| სპორტინგი | 21 | 8 | 8 | 5 | 24:17 | 32 |
| მარიტიმუ | 21 | 9 | 4 | 8 | 24:22 | 31 |
| ამადორა | 21 | 8 | 7 | 6 | 26:25 | 31 |
| ბოავიშტა | 21 | 7 | 9 | 5 | 26:19 | 30 |
| სალგეირუში | 21 | 8 | 6 | 7 | 29:24 | 30 |
| ლეცა | 21 | 8 | 4 | 9 | 22:25 | 28 |
| ბრაგა | 21 | 6 | 9 | 6 | 30:27 | 27 |
| კამპომაიორ. | 21 | 7 | 5 | 9 | 29:35 | 26 |
| ფარენსე | 21 | 5 | 10 | 6 | 27:29 | 25 |
| აკადემიკა | 21 | 5 | 7 | 9 | 17:27 | 22 |
| ვარზიმი | 21 | 5 | 7 | 9 | 19:31 | 22 |
| სეტუბალი | 21 | 5 | 6 | 10 | 21:26 | 21 |
| შავეში | 21 | 4 | 3 | 14 | 18:38 | 15 |
| ბელენენსეში | 21 | 2 | 7 | 12 | 12:33 | 13 |

## შოტლანდია

ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხე წრის მატჩებიდან გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ბოლო წლების უცვლელმა ჩემპიონმა „გლაზგო რეინჯერსმა" ვერ შესძლო სტუმრად „მოზერველის" დამარხება და ფრეს დასჯერდა — 2:2. ეს გუნდები განმეორებით მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს, ისევე როგორც დანდის ორივე გუნდს თავიანთ მეტოქეებთან. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ეირი — კილმარნოკი 2:0, დანდი იუნაიტედი — ინვერნესი 1:1, ჰართსი — ალბიონი 3:0, რეით როვერსი — ფალკირკი 1:3, როს ქაუნთი — დანდი 1:1, სენტ ჯონსტონი — სტერლინგი 3:1. დანფერმლაინი — სელტიკი დღეს გაიმართება.

## თურქეთი

22-ე ტური. ვანსფორი — ქაისერი 1:2; გაზიანთეფი — გენჩლერბირლიგი 1:1; სამსუნი — შექერსფორი 3:0; ანკარაგიუჯიუ — დარდანელი 1:0; ანთალია — ალთაი 0:0; ქარაბუქი — ბურსა 2:0; ისთანბული — ქოჯაელი 0:1; ტრაბზონი — ბეშიქთაში 3:1; გალათასარაი — ფენერბაჰჩე 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 22 | 13 | 6 | 3 | 37:16 | 45 |
| ტრაბზონი | 22 | 13 | 6 | 3 | 40:21 | 45 |
| გალათასარაი | 22 | 13 | 4 | 5 | 49:28 | 43 |
| ისთანბული | 22 | 10 | 8 | 4 | 39:23 | 38 |
| სამსუნი | 22 | 10 | 5 | 7 | 30:23 | 35 |
| ბეშიქთაში | 22 | 9 | 7 | 6 | 39:26 | 34 |
| ბურსა | 22 | 9 | 5 | 8 | 31:30 | 32 |
| ქარაბუქი | 22 | 9 | 4 | 9 | 23:28 | 31 |
| ქოჯაელი | 22 | 8 | 6 | 8 | 28:25 | 30 |
| ანკარაგიუჯიუ | 22 | 8 | 6 | 8 | 27:29 | 30 |
| დარდანელი | 22 | 7 | 7 | 8 | 26:23 | 28 |
| გენჩლერბირ. | 22 | 6 | 7 | 9 | 23:23 | 25 |
| ქაისერი | 22 | 7 | 4 | 11 | 23:35 | 25 |
| ალთაი | 22 | 6 | 6 | 10 | 21:33 | 24 |
| შექერსფორი | 22 | 6 | 5 | 11 | 25:50 | 23 |
| გაზიანთეფი | 22 | 5 | 7 | 10 | 27:32 | 22 |
| ანთალია | 22 | 5 | 7 | 10 | 30:38 | 22 |
| ვანსფორი | 22 | 1 | 6 | 15 | 15:50 | 9 |

## ბელგია

22-ე ტური. ეკერენი — მუსკრონი 2:2; ბრიუგე — ანტვერპენი 3:2; აალსტი — გენკი 1:1; ჰარელბეკი — გენტი 3:1; ანდერლეხტი — სტანდარდი 2:0; ლოკერენი — შარლერუა 3:2; ვესტერლო — ბევერენი 3:0; სენტ ტრუიდენი — მოლენბეკი 1:1; ლომელი — ლიერსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 22 | 19 | 3 | 0 | 56:17 | 60 |
| გენკი | 22 | 13 | 4 | 5 | 47:29 | 43 |
| ეკერენი | 22 | 12 | 5 | 5 | 40:27 | 41 |
| ჰარელბეკი | 22 | 10 | 9 | 3 | 40:23 | 39 |
| ანდერლეხტი | 22 | 10 | 5 | 7 | 32:25 | 35 |
| ლოკერენი | 22 | 11 | 0 | 11 | 43:46 | 33 |
| ლომელი | 22 | 9 | 5 | 8 | 35:31 | 32 |
| ლიერსი | 22 | 8 | 6 | 8 | 34:31 | 30 |
| გენტი | 22 | 7 | 8 | 7 | 34:32 | 29 |
| სტ. ტრუიდენი | 22 | 7 | 8 | 7 | 23:24 | 29 |
| აალსტი | 22 | 7 | 6 | 9 | 34:36 | 27 |
| ვესტერლო | 22 | 6 | 8 | 8 | 31:37 | 26 |
| შარლერუა | 22 | 7 | 5 | 10 | 31:41 | 26 |
| სტანდარდი | 22 | 6 | 7 | 9 | 29:32 | 25 |
| მუსკრონი | 22 | 5 | 6 | 11 | 22:33 | 21 |
| მოლენბეკი | 22 | 5 | 4 | 13 | 26:54 | 19 |
| ბევერენი | 22 | 3 | 7 | 12 | 20:38 | 16 |
| ანტვერპენი | 22 | 3 | 4 | 15 | 25:46 | 13 |

## ისრაელი

მე-19 ტური. ჰაპოელი (აშქელონი) — ჰაპოელი (ბეით შეანი) 0:0; ჰაპოელი (იერუსალიმი) — ჰაპოელი (ქვარ სავა) 0:0; ჰაპოელი (თელ ავივი) — მაკაბი (ჰაიფა) 1:0; მაკაბი (ჰერცლია) — ბნეი იეჰუდა 0:2; ჰაპოელი (ფეთაჰ თიქვა) — მაკაბი (ფეთაჰ თიქვა) 2:0; ჰაპოელი (ბეერშევა) — ირონი (აშდოდი) 2:1; მაკაბი (თელ ავივი) — ირონი (რიშონი) 0:1; ჰაპოელი (ჰაიფა) — ბეითარი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰ. თელ ავივი | 19 | 12 | 5 | 2 | 19:8 | 41 |
| ბეითარი | 19 | 10 | 8 | 1 | 43:20 | 38 |
| ჰ. ჰაიფა | 19 | 9 | 8 | 2 | 33:18 | 35 |
| მ. ჰაიფა | 19 | 10 | 4 | 5 | 32:21 | 34 |
| ჰ. ფეთაჰ თიქვა | 19 | 9 | 4 | 6 | 27:21 | 31 |
| ჰ. იერუსალიმი | 19 | 6 | 8 | 5 | 22:23 | 26 |
| ჰ. ქვარ სავა | 19 | 7 | 5 | 7 | 22:23 | 26 |
| ი. აშდოდი | 19 | 6 | 7 | 6 | 24:30 | 25 |
| მ. ჰერცლია | 19 | 5 | 7 | 7 | 23:24 | 22 |
| მ. ფეთაჰ თიქვა | 19 | 4 | 9 | 6 | 14:19 | 21 |
| ი. რიშონი | 19 | 5 | 5 | 9 | 23:30 | 20 |
| მ. თელ ავივი | 19 | 4 | 7 | 8 | 19:23 | 19 |
| ბნეი იეჰუდა | 19 | 4 | 7 | 8 | 17:22 | 19 |
| ჰ. ბეერშევა | 19 | 3 | 7 | 9 | 22:34 | 16 |
| ჰ. ბეით შეანი | 19 | 3 | 7 | 9 | 16:28 | 16 |
| ჰ. აშქელონი | 19 | 3 | 6 | 10 | 16:28 | 15 |

## საფრანგეთი

საფრანგეთის თასის მესამე წრის კენჭისყრამ ერთი მეტად პრინციპული წყვილი შვა — მარსელის „ოლიმპიკი" „მონაკოს" შეხვდება.

28 თებერვალს ეს შეხვედრაც გაიმართება. თასის ათგზის მფლობელი „მარსელი" პრიზის ხუთგზის გამარჯვებულს „მონაკოს" დაუპირისპირდება. სხვათა შორის, „მონაკომ" საფრანგეთის თასი ბოლოს 1991 წელს მოიგო და ფინალში სწორედ „მარსელი" დაამარცხა.

ქვეყნის უმაღლესი დივიზიონის სხვა კლუბებს კენჭისყრამ შედარებით იოლი მეტოქეები არგუნა — პსჟ მესამე დივიზიონის „პაუს" დაუპირისპირდება, „ლანსი" მეხუთე დივიზიონის „არჟენტენს" ესტუმრება, „მეცი" კი მეოთხე დივიზიონის „ბურჟს".

# მაფიას გრძელი ხელები აქვს

ბელგიაში რომ საფეხბურთო კლუბი „ანტვერპენია", მისმა პრეზიდენტმა ედი ვაუტერსმა მეხივით დაიქუხა. მან პარასკევს განაცხადა, ჩვენი ქვეყნის პირველობაზე წლობით აწყობდნენ თამაშებს და მე ამას დავამტკიცებო.

საქმე ის ყოფილა, რომ გასული ოთხშაბათის სათასო შეხვედრის, „ანტვერპენი" — „მუსკრონის" წინ (შეხვედრა მეოთხედფინალური გახლდათ), ვაუტერსს დაკავშირებია ვილაც, რომელსაც შეუთავაზებია ანტვერპენელთა ნახევარფინალში გაყვანაცა და ლიგაში დატოვებაც. ცხადია, საფასურად. ვაუტერსს უარი უთქვამს.

უარს ის მოჰყვა, რომ „ანტვერპენმა" „მუსკრონთან" 0:5 წააგო. ჩემპიონატში აღარ იკითხავთ? 14 წაგება და სამად სამი გამარჯვება, ასეთია ვაუტერსის კლუბის მონაგარი.

— იმ კაცმა მითხრა, რომ „მუსკრონის" დამარცხება სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან მას ამ გუნდის ფეხბურთელებთან უსაუბრია და ისინი წაგებაზე დაუყაბულებია — თქვა „ანტვერპენის" პრეზიდენტმა საგანგებო პრეს-კონფერენციაზე.

— თუ ჩვენთან ითანამშრომლებთ, პირველ დივიზიონში დარჩენის გარანტიასაც მოგცემთ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმესთვის გარანტია მიგვეცა და არ შეგვესრულებინა, მითხრა იმ კაცმა. რაც უფრო მეტ გაოცებას გამოვხატავდი, მით მეტ დეტალებს მეუბნებოდა უცნობი. იმ დეტალების მოსმენის შემდეგ ეჭვი აღარ მეპარება,რომ გარიგება - ჩაწყობა ბელგიური ფეხბურთისთვის ჩვეული მოვლენაა და უამრავი შეხვედრის ანგარიშიც წინასწარაა ცნობილი — დასძინა ვაუტერსმა.

ნუ იჩქარებთ, ვუტერი უსუსურ კაცად, უფხო პატიოსნად ნუ წარმოიდგენთ. ის ფხიანი პატიოსანი ყოფილა, რადგან უცნობთან შეხვედრა მაგნიტოფონზეც ჩაუწერია და ფოტოფირზეც აღუბეჭდავს, თუმცა ჟურნალისტებთან საუბრისას სახელები და გვარები არ წამოსცდენია.

აი, რა თქვა ბელგიურმა ტელეარხმა VRT-მ: „თამაშების ჩაწყობაში მონაწილეობს ხუთი ადამიანი, რომელთა შორის არიან ერთ-ერთი ფეხბურთელის მამა და წარსულის ერთ-ერთი ვარსკვლავი". ტელეკომპანიის განცხადებით, საქმის ჩხრეკამ ახალი შუქი მოფინა გასული სეზონის სენსაციურ ისტორიას გუნდ „აალსტთან" დაკავშირებით.

ისტორია ასეთი გახლდათ: გასული წლის მარტში 18 გუნდიან ცხრილში მე-17 ადგილზე ჩარჩენილი „აალსტი" გავარდნის უეჭველი კანდიდატი გახლდათ. იგი მე-16 ადგილზე მყოფ „მეხელენს" მთელი 8 ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ ორ თვეში სასწაული მოახდინა და მე-15 ადგილზე დაასრულა პირველობა. საბოლოოდ „მეხელენს" 5 ქულით გაუსწრო. გავარდნენ „მეხელენი" და „ბრიუგე".

„აალსტმა" იმ სენსაციურ ორ თვეში, ექვსი შეხვედრიდან ოთხი მოიგო, ორი კი ფრედ დაასრულა. და ეს ყველაფერი მოჰყვა იმ 28 მატჩს 14 წაგებითა და ორად ორი მოგებით რომ გაიარა.

VTR-ს ცნობით, ვუტერის თანამოსაუბრე საიდუმლო პიროვნება ძალიან დამუქრებია „სერკლ ბრიუგეს". მას უთქვამს ეგ გუნდი ლიგიდან გავარდება, რადგან ჩვენთან თანამშრომლობა არ სურსო. მასვე შეუხსენებია ვუტერისთვის „აალსტის" ბედნიერი გადარჩენის ისტორიაც.

„აალსტის" გადარჩენამ ბუნებრივია ბელგიელთა შორის მაშინვე დიდი ეჭვი აღძრა, მაგრამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირის კონტროლის კომიტეტმა გამოძიება კლუბის გამართლებით დაასრულა.

VTR-მ თქვა, რომ საფეხბურთო კავშრის შიდა გამოძიების განყოფილება ვაუტერსის განცხადებას უკვე ჩაუდგა კვალში და ძიებას აწარმოებს.

ეს ძიებაღა აკლდა ბელგიურ ფეხბურთს, რომელსაც „ანდერლეხტის" ძველმა, ახალმოქქქილმა ამბავმა ისედაც შეურყვნა სახელი. გასაგებია რაზეცაა საუბარი, ქვეყნის ყველაზე ცნობილი და პოპულარული გუნდის ყოფილმა პრეზიდენტმა კონსტანტ ვანდენ სტოკმა სექტემბერში აღიარა, რომ 1984 წელს, უეფას თასზე „ნოტინგემ ფორესტთან" ნახევარფინალური შეხვედრის წინ ფული „ასესხა" ესპანელ მსაჯს.

1984 წელს ბელგიაში ქრთამებთან დაკავშირებული კიდევ ერთი სკანდალი იყო. ის ლიეჟის „სტანდარდს" ეხებოდა. მაშინ გაირკვა, რომ 1982 წელს „სტანდარდმა" იყიდა ერთ-ერთი შეხვედრა, რითაც ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საქმეში გადიოდა მწვრთნელი რაიმონდ გუტალსიც. მოკლედ, საუბარია სწორედ იმ „სტანდარდზე", 82-ში თბილისის „დინამოს" ხელოვნური ოფსაიდის გადაულახავი კედელი რომ აუგო თასების თასის ნახევარფინალის ორივე შეხვედრაში. მაშინ ლიეჟელები დასაჯეს, ფეხბურთელებს დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და ამიტომაც იყო 84-ის ევროპის პირველობაზე ბელგიის წესით ძლიერმა ნაკრებმა ბევრი ვერაფერი რომ მოახერხა.

# ცუდია როცა ძლიერი ხარ

2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას პოლიტიკოსთა და საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება — ასე თვლიან გერმანული ფეხბურთის უმაღლესი ხელისუფალნი.

ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა თქვა, რომ თავს ხანდახან მარტოსულად გრძნობს, მაშინ როდესაც კონკურენტი ქვეყნები, ინგლისი და სამხრეთ აფრიკა მთელი ძალით იბრძვიან ამ უფლების ხელში ჩასაგდებად.

— მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენი ერის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია. მილიარდობით ადამიანს გვსურს ვაჩვენოთ, რომ გერმანია ევროპის ცენტრში მდებარე მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა. ვგონებ, ამ მიზანს ქვეყნის მთელმა მოსახლეობამ უნდა დაუჭიროს მხარი — თქვა ბრაუნმა საფეხბურთო კლუბ „კიოლნის" დაარსების 50-ე წლისთავზე.

მისი განცხადებით კონკურენტები გერმანელ პოლიტიკოსთა პასიურობას აუცილებლად გამოიყენებენ თავიანთ სასარგებლოდ, არადა გაერთიანებულ ქვეყანას ჩინებული შანსი აქვს სპორტული სამყაროს უდიდესი შეჯიბრება იგდოს ხელთ.

მართალია, 1974 წელს გერმანიაში უკვე გაიმართა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი, მაგრამ მაშინ სოციალისტური გდრ სხვა სახელმწიფო იყო, ხოლო ის, სადაც პირველობა ჩატარდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გახლდათ.

— პოლიტიკური მხარის ხაზგასმა იმიტომაა აუცილებელი, რომ სამხრეთაფრიკელები სწორედ რომ პოლიტიკური არგუმენტით აპირებენ თავიანთი განაცხადისთვის ზურგის გამაგრებას — განაცხადა ბრაუნმა.

პრეზიდენტის ამ განცხადებამ ვინძლო მართლა გამოიღოს შედეგი. იგი პირველად ხომ არ ამბობს, მიზნის მისაღწევად დიდი მხარდაჭერა და ბრძოლა დაგვჭირდებაო. დეკემბერში ბრაუნმა ბრძანა, ჩვენი ერის საფეხბურთო ძლიერება იმავდროულად ჩვენი სუსტი მხარეცააო და აი რატომ:

— ვფიქრობ, ჩვენს განაცხადს ფიფაში არ დაუჭერს მხარს ყველა, რადგან ბევრი თვლის, რომ გერმანელებს ზედმეტად ძლიერი გავლენა გვაქვს... ეს ჩვენს საწინააღმდეგო შედეგს გამოიღებს.

ბრაუნისგან განსხვავებით ინგლისელთა კამპანიის შეფი ალეკ მაკგივენი კმაყოფილია მისი ქვეყნის ბრძოლით, რაც 21 იანვარს, ბრიფინგზეც აღნიშნა:

— მწამს, დღევანდელი დღით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ უპირველესი კანდიდატი ვართ.

უკმაყოფილო ბრაუნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა კი დაასახელა იმ მოთამაშეთა გვარები, რომლებიც ომანის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ გამოიძახა. სიისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ შევნიშნოთ, მასში მიუნხენის „ბაიერნიდან" არავინაა შეყვანილი.

როგორც წესი, „ბაიერნის" ფეხბურთე-


კლინსმანს მძიმე დრო დაუდგა

ლები ფოგტსის გუნდის დიდ ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ მიუნხენელთა თასის ნახევარფინალური მატჩი „შტუტგარტთან" იმას ნიშნავს, რომ სამშაბათს ნათამაშევნი ოთხშაბათს მუსკატში ვერ იქნებიან. კვირას, 22 თებერვალს კი გერმანიის ეროვნული გუნდი ერ რიადში საუდის არაბეთის ნაკრებსაც ეთამაშება და ფოგტსს იმედი აქვს, რომ იმ დღისთვის მას სხვა მოთამაშეები დაემატებიან.

— მე ჩავინიშნე კიდევ ხუთი-ექვსი გვარი, მაგრამ საწვრთნელი შეკრების იერსახე უკვე განსაზღვრული მაქვს — განუცხადა ბუნდესმწვრთნელმა ფრანკფურტში შეკრებილ ჟურნალისტებს.

გუნდთან ერთად იქნება ნაკრების კაპიტანი იურგენ კლინსმანიც, მაგრამ ინგლისში მოტეხილი ყბის გამო ვერც ერთ თამაშში მიიღებს მონაწილეობას.

მისი კლუბის, „ტოტენჰემ ჰოტსპურის" ექიმთა განცხადებით, კლინსმანის ტრავმა სინამდვილეში არც ისე მძიმეა, როგორც თავიდან ჩანდა და ფორვარდმა 1 მარტს „ბოლტონთან" შეხვედრაში შეიძლება მ. იღოს კიდეც მონაწილეობა.

— ტურნეს განმავლობაში კარგადაც მიმკურნალებენ და თბილი კლიმატიც ხელს შემიწყობს გამოჯანმრთელებაში — თქვა თავად კლინსმანმა.

ფოგტსის ბანაკში არიან: მეკარეები — ანდრეას კეპკე (მარსელი, საფრანგეთი), იენს ლემანი (შალკე); მცველები — იურგენ კოლერი (დორტმუნდი), თომას ლინკე (შალკე), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), შტეფან როიტერი (დორტმუნდი), ოლაფ ტონი (შალკე), კრისტიან ვიორნსი (ლევერკუზენი); ნახევარმცველები — მარკო ბოდე (ვერდერი), თომას ჰესლერი (კარლსრუე), იორგ ჰაინრიხი (დორტმუნდი), იენს იერემიესი (მიუნხენ 1860), სვენ კმეტჩი (ჰამბურგი), ანდრეას მიოლერი (დორტმუნდი), ლარს რიკენი (დორტმუნდი); თავდამსხმელები — ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე, იტალია), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი).

— აზიაში ჩასატარებელ ამ ორ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მაინტერესებს ერთობლივ მუშაობას ზრდა თუ მოჰყვება. გარდა ამისა, უნდა განვსაზღვრო, ვის დავეყრდნობი მსოფლიოს ჩემპიონატზე — დასძინა ფოგტსმა.

გერმანული მას-მედიის აზრით, ბუნდესმწვრთნელი ომანში ასეთ სასტარტო შემადგენლობას ათამაშებს: კეპკე, ტონი, კოლერი, რიკენი, კმეტჩი, იერემიესი, ჰაინრიხი, ჰესლერი, მიოლერი, ბირჰოფი, კირსტენი.



# მზეო, ჩადი, ჩადი!

**A ჯგუფი**

**კამერუნი 2:1 ალჟირი**

**კამერუნი: ონგანძი, ობენი, ვომე, სონგი, მიმბო, ავგუსტინი, მეტონი, ფოე, ჟობი, ტჩუტენგი (ნერტაპი 74), ჩამი (მბომა 78)**

**ალჟირი: ჰამუნდიდი, ბენამლატი (ბენზერგა 70), მეფტე, ზეგდუდი, ძირი, ელი მუსა, ტასფუტი, ოსმანი, ჟიული, არშეშე (დალაბი 70), ქერიმი (აბრი 88)**

**0:1 ძირი (40), 1:1 ჟობი (47), 2:1 ჩამი (65)**



აფრიკაში ძლიერ ცხელა. მოგეხსენებათ, აფრიკელები სხვებზე მეტად ეგუებიან სიცხეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მცხუნვარე მზეს ქვეშ ყოფნა კონტინენტის მხოლოდ რამდენიმე ერს არ უჭირს. ამ თამაშმა დაგვარწმუნა, რომ კამერუნელებზე ეს არ ითქმის. ხვატმა მსოფლიოს ჩემპიონატში ზედიზედ მესამე მონაწილე კამერუნელებსაც კი გაუჭირვა საქმე.

გუშინ ბურკინა ფასოში ძლიერ ცხელოდა. საშინელი პაპანაქების გამო ფეხბურთელებს ნაღდი, აფრიკული თამაშის გაჩაღება უჭირდათ. მატჩის პირველი ნახევარიც სწორედ ამიტომ ვერ გამოდგა თვალსასეირო, მეორეში კი გოლებიც იყო და გამარჯვების უდიდესი წყურვილიც.

მე-40 წუთზე ალჟირელმა ბოლელ ძირიმ თავისიანები დააწინაურა — ერთობ გამოცდილი ჟაკ სონგოს ნაცვლად მოთამაშე ვინსენ ონგანძი შეცდა და ანგრიშიც გაიხსნა.

შესვენების 15 წუთი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მთელი მოედნის მზისგან დასაჩრდილად, ეს კი კამერუნელებმა ჩინებულად გამოიყენეს. „მოუთვინიერებელი ლომები" შეუჩერებელნი გახდნენ და ნელნელა მათი საგრძნობი უპირატესობა გოლებშიც აისახა. ჟოზე დეზირე ჟობმა ანგარიში 47-ე წუთზე კი გაათანაბრა (შესვენებიდან ორ წუთში!), მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, კამერუნელებმა მანამდე მეტოქის კარის ძელების ორჯერ შერყევა მოასწრეს — ჯერ მარკ ვივიენ ფოეს დარტყმულს გადაურჩა ახმარ ჰამუნდიდის კარი, მერე კი ხარიხამ ალფონს ჩამის ბურთი მოიგერია.

გოლი უნდა გასულიყო და გავიდა კიდეც — კამერუნელთა მეტად იმედისმომცემი ნახევარმცველის, პიერ ნლენდე კომეს ძესახიძსავი თამაშის წყალობით დეზირე ჟობი მცველებმა უყურადღებოდ შეატოვეს მეკარეს და ნახევარმცველმაც ძირის გოლი გაქვითა. აფრიკის თასის ორგზის მფლობელთა ზეწოლა ამით არ დამთავრებულა. იგივე ჟობის, ჩამის, ფოეს, მიმბოს და სონგს სხვაობის კიდევ უფრო გაზრდის არაერთი შანსი ჰქონდათ, მაგრამ მეკარე ჩინებულად ირჯებოდა.

მიუხედავად ამისა, ალჟირი მეორე გოლს მაინც ვერ გადაურჩა — იმავე ვომეს ფინტებმა მეფტეს და მუსას თავგზა აუბნია და ჩამიმაც თაურით ანგარიში 2:1 გახადა — კამერუნი მეოთხედფინალში გავიდა!

— პირველ ნახევარში მზემ და თავდაჯერებამ დაგვღუპა. ვიცოდით, შემდეგ წრეში გასასვლელად ქულაც რომ გვყოფნიდა, მაგრამ ვფრთხილობდით და შედეგად კინაღამ დავისაჯეთ. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. მიხარია, მორიგი გოლი რომ გავიტანე — განაცხადა ჩამიმ.

ზემოთ სონგო ვახსენეთ. მისმა ართამაშმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ხმები დაირხა, თითქოს სონგო მწვრთნელზე გაბრაზებულა და ესპანეთში გამგზავრებულა ლა კორუნიაში სათამაშოდ. ეჭვების გაფანტვა კამერუნელთა თავკაცმა, აფრიკის ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ჟან მანგა ონგენმა ითავა:

— მე მას ვესაუბრე. ჟაკი არსად არ წასულა და არც ვინმესთან მოსვლია უთანხმოება. უბრალოდ, გამოცდილ მეკარეს გადამწყვეტ მატჩში ართამაშის გამო ნერვებმა უმტყუნა, მაგრამ რაიმე სერიოზული არ მომხდარა. ბოლოს და ბოლოს მე მწვრთნელი ვარ და ჩემი გადასაწყვეტია, ვინ ვათამაშო და ვინ არა. 22 ფეხბურთელი მყავს და როგორც გუნდის თავკაცს, მევალება მოცემული მომენტისთვის მათგან საუკეთესოები ავარჩიო და გუნდის გასამარჯვებლად ვილვაწო. დღეს მე სონგოს სხვა ვამჯობინე, ხვალ შესაძლოა, კონკურენტებს სონგო სჯობდეს და ასე გაუთავებლად. ცვლილებები მუდამ იქნება, უბრალოდ, ერთი რამეს დავძენ, კორექტივები საქმის სასიკეთოდ უნდა კეთდებოდეს — განაცხადა ონგენმა.

მწვრთნელს მხარი გადამწყვეტი გოლის ავტორმა ალფონს ჩამიმაც დაუჭირა, რა გაუგებრობა, რის კონფლიქტი, სონგო ის კაცი არაა, ასეთ სისულელეზე ამხელა ამბავი ატეხოსო.

მოკლედ, კამერუნმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და აფრიკის თასის რიგით მესამედ მოსაპოვებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. როგორ ითამაშებენ მეოთხედფინალში, ამას მატჩი დაგვანახებს, ერთ კია, თუ ძლიერი მეტოქე ეყოლებათ, კამერუნელთა დაცვას მეტად გაუჭირდება.

**ბურკინა ფასო 1:0 გვინეა**

**ბურკინა ფასო: დ. იბრაჰიმა, სედუ, ფირმონი (უსმანი 73), ისმაელი (უმარი 67), კასუნი, აბლისი, ტ. იბრაჰიმა, რომეო, ბურბიმა (მენგენი 51), გნონკა, გ. იბრაჰიმა**

**გვინეა: ს. მუჰამედი, აბდულ სალამი (ნგომი 58), აბლო, კ. მუჰამედი, სოდი (ვენდელი 76), სულიმანი (ტეიფური 72), ტიტი, უმარი, ქარიმი, მორლი, კემოკო**

**1:0 რომეო (85)**

მასპინძლები მეოთხედფინალში გავიდნენ! ამას ვინ წარმოიდგენდა. ბურკინაფასოელებს, მესამედ რომ მონაწილეობენ აფრიკის თასის გათამაშებაში აქამდე მხოლოდ ერთი შეხვედრა მოეგოთ, მაგრამ ფრანგი მწვრთნელის ფილიპ ტრუსიეს წყალობით მათი ნაკრები საკმაოდ სერიოზულ ძალად იქცა.

მართალია პირველი მატჩი კამერუნთან ბურკინაფასოელებმა დათმეს, მაგრამ შემდეგ ჯერ ალჟირს, ახლა კი გვინეას სძლიეს და ისტორიაში პირველად მეოთხედფინალში გავიდნენ, არადა ეს თავად მასპინძლებსაც არ სჯეროდათ. ამიტომაც იყო, პირთამდე სავსე სტადიონი შეხვედრის შემდეგ ლამის რომ დაიფერფლა — ხალხს ისე გაუხარდა თავიანთი გუნდის გამარჯვება, რომ ცეცხლი დაანთეს და ქვეყნის სიამაყე „4 აგვისტოს" სახელობის ეროვნული სტადიონი კინაღამ აღგავეს მიწისაგან პირისა.

— ჩვენ გვჯეროდა რომ გავიმარჯვებდით. მეოთხედფინალში რწმენამ გაგვიყვანა. გუნდი ჩამოყალიბების გზაზეა, წარმატებებიც ნელ-ნელა მოდის. მართალი გითხრათ გვინეელებთან რომ არ გვემარჯვა ძლიერ მეწყინებოდა. მინდა ბურკინა ფასოში ჩემი სახელი მხოლოდ ტკბილად მოსაგონარი იყოს — განაცხადა მასპინძელთა თავკაცმა ტრუსიემ. სხვათა შორის მას ბურკინა ფასოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 1 მარტს ეწურება, მერე კი ფრანგი მწვრთნელი სამხრეთ აფრიკელებს ჩაიბარებს და სამსოფლიოსჩემპიონატოდ გაწვრთნის. ტრუსიე უპირველეს საფეხბურთო ტურნირზე ნიგერიელთა თავკაცადაც გაემგზავრებოდა, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონების მსოფლიო ჩემპიონატზე ზედიზედ მეორედ გამყვან მწვრთნელს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებთან კონტრაქტის თაობაზე უთანხმოება მოუვიდა და მხარეებმა გაყრა ამჯობინეს.

კონკრეტულად ამ შეხვედრას რაც შეეხება გულშემატკივართა მხარდაჭერით ფრთაშესხმული მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო — მთელი საათნახევრის მანძილზე ისინი დომინირებდნენ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე რომეოს რომ არ ეყოჩაღა მეოთხედფინალში თამაში ოცნებადვე დარჩებოდათ.

**ლუჟა ბოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ბურკინა ფასო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| გვინეა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ალჟირი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |

*მეოთხედფინალში გავიდნენ კამერუნი და ბურკინა ფასო.*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჰასან ჰოსამი (ეგვიპტე) | 5 |
| სულეიმან ულარე (გვინეა) | 3 |
| ალფონს ჩამი (კამერუნი) | 3 |
| ტონდელა მბუილუა (კონგო) | 2 |
| ჟოელ ტიეი (კოტ დივუარი) | 2 |
| ელითას შილიტი (ნამიბია) | 2 |
| გერვატის ურ[illegible] (ნამიბია) | 2 |

# დამნაშავეა ეგვიპტე

აფრიკის თასზე ეგვიპტელებთან 0:4 წაგებულ მატჩს ზამბიელთა ნაკრების გერმანელი მწვრთნელი ბურკედ ზასსი შეეწირა. წაგებისთანავე ზამბიის ფეხბურთის ფედერაციაში საგანგებო სხდომა გაიმართა, რომელზეც მომხდარის გამო იმსჯელეს და მეტად თამამი გადაწყვეტილება მიიღეს — ნაკრები შუა ტურნირში უმწვრთნელოდ დატოვეს.

სხვათა შორის, ზისს რამდენიმე დღით ადრე ნაკრების და საერთოდ აფრიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ფეხბურთელ კალუშა ბვალიასთან შეხლა-შემოხლა მოუხდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

# მსაჯი შინ წავიდა

ვერის ბაღი
საქართველოს მე-7 ჩემპიონატი
14 თებერვალი

**სტუ 113:54 მერანი**

სტუ: დ. ბერიშვილი (24), ი. ბერიშვილი (16), ნოზაძე (10), სპარსიაშვილი (19), სუხიშვილი (3), მაჩაიძე (13), ლასარეიშვილი (12), გიგაშვილი (3), ხარაძე (6), ბათხაძე (7)

მერანი: მარხვაშვილი (20), კეიდია (10), ჩაჩუა (7), ღვინიაშვილი (7), სანიკიძე (4), ფანჯიკიძე (4), გეგეშიძე (2)

**თსუ 106:88 დინამო 2**

თსუ: ჟღენტი (20), გელაშვილი (13), ნიკოლაძე (25), წოწელია (24), ნიჟარაძე (24); ქარჩავა

დინამო 2: ვეფხვაძე (16), ხეცურიანი (14), გრძელიშვილი (17), ფსუტური (6), მანველიშვილი (8), მშვილდაძე (8), ნოზაძე (3), უჩუმბეგაშვილი (12), მეგრელაძე (4)

**მაკაბი 87:67 კოლხა**

მაკაბი: ენდელაძე (5), ანდღულაძე (20), შველიძე (11), ფერიაშვილი (20), ახალკაცი (25), ცაცებაშვილი, გოგლიძე, ბინიაშვილი (4), ბაბალაშვილი (3), დავარაშვილი

კოლხა: ქვილითაია (16), არველაძე (5), უგრეხელიძე (5), კვაჭაძე (12), ცქიტიშვილი (14), ბერიშვილი (2), თოდუა (9), ქარუმიძე (2), აბულაძე (2)

15 თებერვალი

**კოლხა 107:45 მერანი**

კოლხა: ბერიშვილი (20), ქვილითაია (8), ძიძიგური (6), ქარუმიძე (16), ვაშაკიძე (7), ცქიტიშვილი (17), უგრეხელიძე (10), კვაჭაძე (7), თოდუა (16)

მერანი: მარხვაშვილი (11), ჩაჩუა (7), ღვინიაშვილი (12), სანიკიძე (7), ზანგურიშვილი (2), თვარაძე (6), ჭანჯიკიძე

**ასკ 101:100 შევარდენი**

(დამატებითი დრო)

ასკ: დ. მოისწრაფიშვილი (21), ჭყონია (21), ჩხაიძე (8), თაბუაშვილი (6), მინაშვილი (35); პაპასკირი (10), ა. მოისწრაფიშვილი

შევარდენი: ორჯონიკიძე (12), კაზანჯიანი (24), მაჭავარიანი (13), გიგაური (38), ღვინეფაძე (7); არსიაშვილი (2), ჩარგეიშვილი, ცაგარეიშვილი (4)

სატურნირო მეზობლების შეხვედრა მეტად დაძაბული გამოდგა. პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ასკ-მ 3 ქულით მოიგო 46:43.

მეორე ტაიმში გიგაურის ორი ტყორცნის შემდეგ მეორე წუთზე „შევარდენმა" გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ არმიელებმა მალევე აღიდგინეს უპირატესობა და შევარდენელები კვლავ მდევრის როლში იყვნენ, სანამ კაზანჯიანმა რაღაც 25 წამში სამქულიანითა და შედეგიანი გარღვევით არ დააწინაურა თავისი გუნდი 56:52, მაგრამ „შევარდენი" ამ შედეგზე გაიყინა. დათო მოისწრაფიშვილისა და მინაშვილის ჩინებული თამაშის წყალობით ასკ-მ 5 წუთში 11-ქულიან სხვაობას მიაღწია 67:56. თითქოს არმიელებმა გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ კაზანჯიანმა კვლავ ზუსტად გაისროლა შორიდან და „შევარდენმა" დევნა განაგრძო. გიგაურს ექვს ქულამდე დაჰყავს სხვაობა. თუმცა შევარდენელები მინაშვილს ვერ იჭერენ და არმიელები კარგა ხანს ინარჩუნებენ 10-ქულიან სხვაობას 80:70. ისევ გიგაური თამაშობს კარგად, ჯერ თანაგუნდელთა კომბინაციას აგვირგვინებს და შემდეგ სამქულიანს ესვრის: ბურთმა დიდხანს იტრიალა კალათზე და ჩაეშვა, სხვაობა 4 ქულაღაა, მაგრამ დათო მოისწრაფიშვილი და მინაშვილი ისევ ახერხებენ არმიელთა საიმედო სხვაობით დაწინაურებას. მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე 90:81-ია ასკ-ს სასარგებლოდ. „შევარდენი" ჩქარობს, თამაშს თავისთავზე იღებს მაჭავარიანი და იღბლიანადაც: მისი სამქულიანი „შევარდენს" მატჩის ერთი ხელის გაწვდენაზეა. შევარდენელები ჯარიმდებიან, პაპასკირი ერთ საჯარიმოს აგდებს და თითქოს დარჩენილ 20 წამში ამ სხვაობის შენარჩუნებაც არმიელებს არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ „შევარდენს" ტყუილად არ ეძახიან სამქულიანების გუნდს. ახლა ორჯონიკიძე ისვრის შორიდან ზუსტად და წამით ადრე ანგარიში 1 ქულამდე მცირდება 91:90. აქვე მეხუთე პერსონალურს იღებს კაზანჯიანი, ჭყონია ერთ საჯარიმოს აგდებს. მატჩის დასასრულამდე სამი წამით ადრე კი არმიელები გაუმართლებლად ჯარიმდებიან მაჭავარიანზე. კახა ორივე საჯარიმოს იყენებს და ინიშნება დამატებითი დრო.

დამატებითი დროის პირველი წუთი ნერვიულად წარიმართა. გუნდებმა ტყუილად ირბინეს აქეთ-იქით, სანამ მაჭავარიანმა სამქულიანი არ ჩააგდო. „შევარდენი" დაწინაურდა, მაგრამ მცირე ხნით. ჭყონიას ორი ზუსტი შეტევით არმიელები იბრუნებენ უპირატესობას. 49 წამით ადრე მინაშვილი ტენის ბურთს კალათში 99:96. იქვე არსიაშვილი პასუხობს, მაგრამ მინაშვილი კვლავ სამ ქულამდე ზრდის სხვაობას 101:98. მატჩის დამთავრებამდე რვა წამია. ორჯონიკიძე სამქულიანის ჩაგდებას ცდილობს, ვერ აგდებს და გიგაურის ზუსტი ტყორცნას მხოლოდ ერთ ქულამდე დაჰყავს სხვაობა. არმიელებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს.

**დინამო — ვითა**

(მატჩი ჩაიშალა)

ეს შეხვედრა ძალიან უჩვეულოდ შეწყდა. ორი პრინციპული მეტოქის მატჩი „დინამომ" ძალზე კარგად დაიწყო და მეშვიდე წუთისთვის 11-ქულიან სხვაობას მიაღწია 22:11. ამ დროს „ვითას" მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ და „ვითას" პრეზიდენტმა თემურ დათიკაშვილმა აღშფოთება გამოთქვეს. მსაჯი გიორგი მოლოდინაშვილი მათთან მივიდა და გარეშე თვალისთვის საკმაოდ მშვიდი საუბრის მერე განაცხადა, მე ამ თამაშს აღარ ვიმსაჯებო და წავიდა. გუნდები კარგა ხანს იყვნენ მსაჯის მოლოდინში, მაგრამ იგი მატჩის გაგრძელებაზე ვერ დაიყოლიეს. მატჩის კომისარმა გუნდებს ერთი მსაჯით თამაშის გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა იუარა, ასეთი პრინციპული მატჩის ერთი მსაჯით ჩატარება და მით უმეტეს, როცა იგი ძალზე ახალგაზრდა არბიტრი ლაშა თოიძეა, წარმოუდგენელიაო და შეხვედრაც ჩაიშალა.

რა შეიძლება ითქვას ამ ეპიზოდზე. ალბათ გახსოვთ, შარშანდელი საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ტური კრიმინალური ისტორიებით იყო აღსავსე. გინება, ჯგუფური ჩხუბი და აყალმაყალი თითქმის ყოველ შეხვედრას სდევდა თან. თითზე ჩამოსათვლელი მატჩები იყო სერიოზული კონფლიქტის გარეშე. წელს ფედერაციამ უფრო მკაცრი ზომების გატარება სცადა: მსაჯებიც აღარ ითმენენ იმდენს, როგორც წინა სეზონში და აყალმაყალის ამტეხ მოთამაშეს მოედნიდან აძევებენ. გარდა იმისა, რომ ეს მოთამაშე შემდეგ მატჩებს სტოვებს, ჩვენი გაჭირვებული დროისთვის საკმაოდ სოლიდური თანხით 200 ლარითაც ჯარიმდება. ამან გარკვეული შედეგი გამოიღო, მაგრამ სრულ წესრიგამდე მაინც ვერ მივედით. მატჩებს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი არბიტრები მსაჯობენ. კულისებში ყველა გუნდის წარმომადგენელი ამბობს, რომ მათგან არავითარ მიკერძოებას არ აქვს ადგილი და შეცდომები მხოლოდ გამოუცდელობისა და კვალიფიკაციის ბრალია. მიუხედავად ამისა, მათზე მაინცაა ფსიქოლოგიური ზეწოლა. ზოგჯერ მსაჯები იჩენენ პრინციპულობას და სჯიან დამნაშავეებს, მაგრამ ეტყობა, განუწყვეტელი ფსიქოლოგიური სტრესი მაინც ამჩნევს თავის კვალს მათ საქმიანობას. ალბათ, ამით უნდა ავხსნათ გიორგი მოლოდინაშვილის საქციელი, რადგან ამ მატჩში სხვა შეხვედრებთან შედარებით ისეთი განსაკუთრებული არაფერი მომხდარა (ყოველ შემთხვევაში, მსაჯის შეურაცხყოფა არ ყოფილა, რასაც ასე ხშირად აქვს ადგილი სხვა მატჩებში), რომ მსაჯს თამაში მიეტოვებინა. „დინამოსა" და „ვითას" ამ მატჩს განსაკუთრებული სატურნირო მნიშვნელობა არ ჰქონია (პრინციპულის გარდა), ორივე გუნდმა გაინაღდა ადგილი სამეულში, რომელიც მერე პლეი-ოფში შედარებით სუსტ მეტოქეს არგუნებს, მაგრამ ამ ეპიზოდს მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მარტში პლეი-ოფები დაიწყება, რომელიც ბევრ საინტერესო მატჩებს გვიქადის, რადგან წინა ჩემპიონატისგან განსხვავებით, წელს მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის ხუთი გუნდია (რუსთაველები უძლიერესები არიან, მაგრამ ისეთი აშკარა უპირატესობით არა, რომ უბრძოლველად დაამარცხონ ყველა მეტოქე) და ამიტომ საჭიროა, რომ მოთამაშეებმაც და მწვრთნელებმაც თავიანთ ენერგიას სასურველი მიმართულება მისცენ და მსაჯებმაც მეტი პრინციპულობა გამოიჩინონ გადაწყვეტილების მიღებაში. ჩემპიონატის შარშანდელი უმსგავსო ფინიში არანაირად არ უნდა განმეორდეს.

**გია აგლაძე**

## ძიუდო

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა პარიზში ოთხდღიანი შეკრება სასურველად გაიარა და პარასკევ დილით მატარებლით კუბის, მექსიკის და ჩილეს გუნდებთან ერთად ავსტრიის ქალაქ ლინცს ჩამოაღწია. სანთლითაც რომ ეძებოთ, ლინცის საერთაშორისო ტურნირს ვერანაირ დავთარსა თუ საინფორმაციო ბიულეტენში ვერ აღმოაჩენთ. სამაგიეროდ, ძიუდოს სამყარო კარგად იცნობს ლეონდინგის „ა" კატეგორიის ტურნირს. ეს ლეონდინგი ლინცის გარეუბანი, უფრო მართებულად კი სოფელია, სადაც ერთი მოზრდილი სპორტული დარბაზი დგას, რომელშიც აღნიშნული ტურნირი იმართება. ქართველებმა პირველად მივიღეთ მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში. წლეულს კი ლეონდინგში 35 ქვეყნის ფალავნები შეიყარნენ, რომელთაგანაც 180 ვაჟი იყო.

შეჯიბრების პირველმა დღემ კი საკმაო წარმატებები მოგვიტანა. თუმცა, უმჯობესია, ყველაფერი თანმიმდევრობით ვთქვათ.

# ქართველებმა სოფელი აღმოაჩინეს



ივერი ჯიქურაული

შაბათი, 14 თებერვალი

ჩემპიონის ამბის მოყოლით დავიწყოთ. ამგვარი კი ივერი ჯიქურაულია (100 კგ). ჩვენებურს პირველ წრეში კუბელი რამონ პილოტა შეხვდა. ჯიქურაულმა ტაქტიკურად სწორად წარმართა შეხვედრა — მეტოქე ტატამის კიდეზე მიჰყავდა და იქ მოძრაობის საშუალებას უსპობდა. ამიტომაც იყო, რომ კუბელი ზედიზედ ორჯერ გააფრთხილეს წითელ ხაზზე (ე.ი. სახიფათო ზონაში) 5-წამიანი დგომისთვის. მერე ივერიმ უკნიდან მიწოლით კოკა აიღო, შემდეგ ვაზარიც დაიმსახურა და პილოტა შებოჭა კიდეც.

პოლონელ პაველ სიტირსკისაც თავიდანვე ორი გაფრთხილება აჰკიდა — ორჯერვე ცალმხრივი ჩავლებისთვის. შემდეგ ორივეს თითო გაფრთხილება წაუმატეს. ჯიქურაული საგრძნობლად წინ იყო, მაგრამ ამას არ დასჯერდა: ერთი ხელი ქამარში გადაავლო, მეორით ფეხებში მიაწვა და იპონიც გაინაღდა.

ნახევარფინალში, პარიზის ტურნირის იაპონელ მესამეადგილოსან შიგერუ კუბოტასთან ერთი შეხედვით დუნედ დაიწყო. ძირითადი ბრძოლა სასურველი ჩავლების ასაღებათ გაჩაღდა, სადაც ჯიქურაული აშკარად სჯაბნიდა მეტოქეს. მან ჯერ პასიურობისთვის შიდოთი გააფრთხილებინა მეტოქე, მერე კი იაპონელი ე.წ. ბლოკზე დადგა და ჩუიმაც არ დაუყოვნა. ივერი ჩავლებას აკონტროლებდა, მხოლოდ ერთადერთხელ დაუთმო იგი კუბოტას და შედეგიც მყისვე მოიმკო — იაპონელმა ამოსმულით იუკო აიღო და ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ ჯიქურაულმა შეხვედრა ძველ კალაპოტში გადაიყვანა. იაპონელმა შეტევის იმიტაცია გააკეთა, რისთვისაც მყისვე კეი-კოკუთი დაისაჯა და ჩვენებურიც ფინალში გავიდა.

ჯიქურაულმა მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ კუბოტასთან შეხვედრა მისთვის ბოლო იქნებოდა ლეონდინგის წლევანდელ ტურნირზე. მეორე ჯგუფიდან ფინალში გერმანელი დანიელ გიურშნერი გავიდა. ფინალი როცა მოახლოვდა, გიურშნერმა საქართველოს დელეგაციის ლამის ყველა წევრს ამცნო, ფეხი მტკივა და ვერ ვიჭიდავებო. რას იზამ, ეს გერმანელის პრობლემა იყო, ჯიქურაულმა კი ღირსეულად შეიფერა პირველი ადგილი და პირველი ქართველი გახდა, ვინც ლეონდინგის ტურნირი მოიგო. ასპროცენტიან გარანტიას ვერ მოგცემთ, მაგრამ, ვეჭვობ, ჯიქურაული პირველი კაცი გახდა, ვინც ლინცსა, ლეონდინგსა თუ მიმდებარე ტერიტორიებზე საქართველოს ჰიმნი დააკვრევინა.

სულ ცოტა დააკლდა იგივეს გაკეთებამდე გია გუგავას (90 კგ), რომელმაც, საბოლოოდ, მეორე ადგილი დაიკავა. თუმცა, თავიდან ოღნავ მოდუნებულმა დაიწყო და დანიელ თომას ბეკთან სამჯერ კოკაზე დაეცა. საინტერესო ის გახლდათ, რომ ბეკი გუგავას სტილში ჭიდაობდა: ქამარში ავლებდა და იქიდან ცდილობდა ფანდების გაკეთებას. ერთხელაც, მორიგი გადავლებისას, გიამ ფეხიდან აიყვანა დანიელი და წინ დაატრიალა — ვაზარი, გავიდა 10 წამი და გუგავამ კონტრილეთით მეორე ვაზირი და წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

პოლონელ პჟემისლავ მატიაშეკთანაც ჩამორჩენით დაიწყო — ჯერ ჩუის აგებდა, შემდეგ კი მეტოქემ ბრუნით კოკა დაიმსახურა. დაახლოებით შეხვედრის შუაწელში გუგავა გარეფეხზე გადავიდა, პოლონელმა კი ამის საწინააღმდეგოდ ბრუნი სცადა. დაპირისპირება რამდენიმე წამს გაგრძელდა: ჩვენებურმა ძალით იმარჯვა და მეტოქე იპონზე დაუშვა.

მესამე წრეში გიას ძველი ნაცნობი — კუბელი იოსვა დესპაინი დაეჭიდა, რომელსაც ქართველმა პარიზში მოუგო და ახლა რომ გაიგო, კიდევ მას ხვდებოდა, რას გადამეკიდა ეს „დომკრატიო" — თქვა. მართლაც, კუბელი ჯანს ნაღდად არ უჩივის, მაგრამ ჭკუით და ტექნიკით ჩვენებური სჯობს. გუგავამ თავიდანვე შეუტია, ჯერ შიდო და ჩუი აჰკიდა მეტოქეს, შემდეგ კი გარეფეხის გაკეთების მცდელობისას ფეხიდან აიყვანა კუბელი და წინ ტრიალით იგივე განაჩენი გამოუტანა, რაც საფრანგეთის დედაქალაქში.

ნახევარფინალში გუგავას მეტოქე იყო მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში ესპანელი დავიდ ალარსა. გია თავიდანვე დაწინაურდა: გაფრთხილებებით შიდო-ჩუიზე მიჰყავდა, თანაც ტატამის კიდეზე ამოსმულით იუკოც მიითვალა. შემდეგ გაფრთხილებებით ორივენი კეი-კოკუმდე ავიდნენ, თუმცა გუგავამ უპირატესობა გაამყარა და შეხვედრის ბოლოს კოკა მოიპოვა.

ფინალში ჩვენებურის მეტოქე გახლდათ გერმანელი მარკო შპიტკა — მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიადის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი. მთელი შეხვედრა ტაქტიკურ ბრძოლაში მიმდინარეობდა — გერმანელი გადავლებას არ ანებებდა ქართველს, ხოლო ქართველი მარცხენა ხელს უთიშავდა გერმანელს და შეტევის საშუალებას უსპობდა. ასე ავიდნენ ორივენი გაფრთხილებებით კეი-კოკუმდე. აქ კი შპიტკას გამოცდილებამ თავისი გაიტანა: ბოლო წუთზე იგი შედარებით გააქტიურდა და მსაჯების სიმპათიაც დაიმსახურა: გუგავა შეხვედრიდან მოხსნეს და მეორე ადგილს დააჯერეს.

მანამდე კი შპიტკამ ერთხელაც გაგვამწარა — ნახევარფინალში ცერის ამოკვრით წმინდად მოუგო გიორგი წმინდაშვილს. არადა, აქამდე ჩვენებურის ჭიდაობა შესანიშნავი იყო — მან ჯამში ერთი წუთიც კი არ მოანდომა ავსტრიელი პატრიკ რუშის, ეგვიპტელი აშრაფ ბაგჰატისა და ფრანგი დავიდ ბუზუკიანის ძლევას. ხერხი ერთი და იგივე: მაჯებიდან კისრულზე წამოკიდება. შემდეგ იყო შპიტკა და შეხვედრა მესამე ადგილისთვის. გუგავას მიერ ძლეულმა მატიაშეკმა თავს უკან გადააგდო წმინდაშვილი — იუკო, რასაც შემდგომში შებოჭვა მოჰყა.

პარიზის ტურნირის ტრიუმფატორმა გიორგი რევაზიშვილმა (66 კგ) ჩემპიონურად დაიწყო. ჯერ ბრაზილიელ ნეი უდიტას შეუვარდა ფეხებში და იპონზე ამოაყირავა. ჰოლანდიელი ფერი ჰენდრიკსი ცოტათი გაუძალიანდა — ხელს უთიშავდა და გაფრთხილებებით კეი-კოკუმდეც აიყვანა ჯღანა. ეს საკმარისი აღმოჩნდა — რევაზიშვილმა ორ მისვლაზე იგივე ფანდები — ფეხიდან აყვანა და იგივე შეფასებები — ვაზარები დაიმსახურა და წმინდად მოიგო.

დიდბრიტანელ ჯეიმს უორენთან შეხვედრისას რევაზიშვილმა ტატამს გარეთ ფეხი გადგა და ჩუით დაისაჯა. შემდეგ ფეხიდან აყვანაზე დაიწყო ბრძოლა, მაგრამ ეს აღარ დასჭირდა — უბრალო ხელის გამოკვრამაც იპონი მოუტანა.

ნახევარფინალში ჯღანას ის კაცი შეხვდა, ვისთანაც ჭიდაობა ყველაზე მეტად ეჯავრება — ევროპის ჩემპიონი თურქი ჰუსეინ ოზქანი მეტად უხერხული მეტოქეა რევაზიშვილისთვის. აქამდეც ორჯერ მოეგო — ერთხელ ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ფინალში. ამჯერადაც ოზქანმა მაჯა დაუჭირა ჯღანას და შეხვედრის მიწურულისკენ ამოსმულით წმინდად მოიგო. მესამე ადგილი რევაზიშვილმა უბრძოლველად მოიპოვა — აქამდე ოთხჯერ ძლეული გერმანელი კრისტიან კონელი არ გამოუცხადდა, აქაოდა, თვალზე „ფანარი" მადევს\და წესიერად ვერ ვიხედებიო.

**მერაბ რატიშვილი ლინციდან**

## ავტორბოლა

# უცნაური არჩევანი

**რიკარდო როსეტი**
(ბრაზილია)



დაიბადა 1968 წლის 27 ივლისს, სან პაულუში.

სიმაღლე 174 სმ, წონა 63 კგ.

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1996 ავსტრალიის დიდი პრიზი, „ეროუზი". ჩაატარა 16 რბოლა.

მოხუცმა კენ ტირელმა, დაპირებისამებრ, კონტრაქტის გაფორმებისთანავე გაამხილა თავისი გუნდის მეორე პილოტის ვინაობა. არჩევანი მეტად უცნაური გამოდგა — წლეულს „ტირელის" მეორე ბოლიდის საჭეს 29 წლის ბრაზილიელი რიკარდო როსეტი მიუჯდება. ამ უკანასკნელმა 1996 წელს ერთი სეზონი გაატარა „ეროუსში", შარშან კი „ლოლას" წევრი გახლდათ, რომელმაც საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ გადალახა და პირველივე ეტაპის შემდეგ გამოეთიშა ჩემპიონატს.

ტირელის არჩევანი იმითაა გასაკვირი, რომ მის გუნდში მოხვედრაზე ჟან-კრისტოფ ბულიონი და იოს ვერსტაპენიც აცხადებდნენ პრეტენზიას. ორივე პილოტი ბრაზილიელზე ძლიერად ითვლება, მაგრამ ფაქტია — წელს უადგილოდ დარჩნენ. ბულიონს „ტირელის" ახალი მფლობელების მხარდაჭერამაც არ უშველა. კენი კი წელს უკანასკნელად გამოიყვანს გუნდს თავისი სახელით და იმედი აქვს, რომ ეს სეზონი განსაკუთრებული იქნება. საინტერესოა, რით?ახალბედა და შედარებით სუსტი პილოტით დღევანდელ ფორმულაში წარმატება წარმოუდგენელი გახლავთ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29